საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№35 (10038) 2026 წლის 25 მარტი, ოთხშაბათი

უმძიმესი დღეების ექო

იხ. 3 გვ.

თავისუფლების აღკვეთა არ ნიშნავს ღირსების აღკვეთას!..

ევროსნობიზმი

„სიმწიფის ატესტატი“ ევროკავშირისთვის

4

გაბაზრებული ცხოვრება

იხ. 8 გვ.

შემცირების ნაცვლად შესაძლოა, საქართველოში პროდუქტების გაძვირება დაიწყოს!

რა საფრთხის წინაშე დგას საზოგადოებრივი ჯანმრთელობა?



იხ. 9 გვ.

შარლ დე გოლი:

სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

განათლება – გზა წარმატებისა

5

როინ მეჯრეველი

სოსო სიგუა:

დიდთა საქმეთა საკეთებლად

იხ. 6-7 გვ.

ომარ მარგველაშვილი:

პატრიარქი — ერის სულიერი მოძღვარი

თემო გოცაძის 85 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა

12

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

კაპიტალის ბაზრები

საქართველო ღიაა ბიზნესის ხელშეწყობისთვის!

კორპორატიული ოგლიგაციების შიდა ბაზარზეც ისტორიული ზრდა გვაქვს. 2025 წელს ვიხილეთ ყველაზე მაღალი აქტივობა, რადგან ემისიების რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. საჯარო კორპორატიული ოგლიგაციების ბაზარი წინა წელთან შედარებით 33.3 პროცენტით გაიზარდა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, ეს ყველაფერი მომწიფებულ ეკოსისტემაზე მეტყველებს, სადაც ქართული ბიზნესსუბიექტები მზად არიან კონკურენციისთვის, ხოლო გლობალური ინვესტორები – პარტნიორობისთვის.

„ამავდროულად, ვაგრძელებთ სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას ჩვენი კაპიტალის ბაზრის შემდგომი გაღრმავების მიზნით. დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვამ შედეგი უკვე გამოიღო და კაპიტალის მნიშვნელოვანი დაგროვება მოხდა ქვეყანაში, მართვის ქვეშ არსებული ფინანსური რესურსის ოდენობა ცხრა მილიარდ ლარს უახლოვდება.

ეს ქმნის გრძელვადიანი ადგილობრივი ინვესტორების ძლიერ ბაზას. პარალელურად, ვახორციელებთ კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებულია ბაზრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, დაფინანსების ინსტრუმენტების გაფართოებაზე და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი გამჭვირვალე, ინვესტორებისთვის კეთილგანწყობილი მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობაზე. დღევანდელი ღონისძიება გახლავთ ჩვენს რეგიონში კაპიტალის ბაზრების ყველაზე დიდი და გავლენიანი კონფერენცია.

ჩვენს საერთაშორისო სტუმრებს ვუდასტურებ, რომ საქართველო ღია ბიზნესის ხელშეწყობისთვის. ჩვენ მათ არა მხოლოდ ბაზარს ვთავაზობთ, არამედ პარტნიორობას გრძელვადიანი ზრდის პერსპექტივით. მტკიცედ ვრჩებით სტაბილური, პროგნოზირებადი და ინვესტორებისთვის მეგობრული გარემოს შენარჩუნების იდეის ერთგულნი. ვაგრძელებთ რეფორმების განხორციელებას, რაც აუცილებელია მსოფლიო დონის კაპიტალის ბაზრის ეკოსისტემის შესაქმნელად, რომელიც ემსახურება როგორც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ასევე თქვენს საინვესტიციო მიზნებს.

დარწმუნებული ვარ, რომ დღეს გაჟღერებული მოსაზრებები პრაქტიკულ ნაბიჯებსა და ხანგრძლივ პარტნიორობამდე მიგვიყვანს. ყველას გისურვებთ პროდუქტიულ, არსებითი ინფორმაციით დატვირთულ და წარმატებულ კონფერენციას“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი მუსლიმ თანამოქალაქეებს რამაზან გაირამსა და ნოვრუზ გაირამს ულოცავს.

ყაველაშვილი მუსლიმ თანამოქალაქეებს მადლობას უხდის იმ თანადგომისათვის, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების გამო მგლოვიარე ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ გამოავლინეს.

მიხეილ ყაველაშვილი:

გმადლობთ სოლიდარობის ღირსეული მაგალითისთვის!

„მოგვიანებით ვულოცავ რამაზან გაირამსა და ნოვრუზ გაირამს ჩვენს მუსლიმ თანამოქალაქეებს.

გულწრფელ მადლობას გიხდით იმ უდიდესი თანადგომისათვის, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის გარდაცვალების გამო მგლოვიარე ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ გამოავლინეთ.

თქვენი გადაწყვეტილება, რომ ამ უმძიმეს წუთებში გაგეზიარებინათ ჩვენი ტკივილი და უარი გეთქვათ ნოვრუზ გაირამისა და რამაზან გაირამის დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებების გამართვაზე, იმ ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ნათელი დადასტურებაა, რომელსაც ჩვენი თანამოქალაქეების – ქრისტიანების და მუსლიმების ურთიერთობა ეფუძნება. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ მშვიდობას, მედნიერებასა და კეთილდღეობას. მადლობა სოლიდარობის იმ ღირსეული მაგალითისათვის, რომელიც მოლო დღეებში გვიჩვენეთ“.

საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებს სოლიდარობისა და სამაგალითო მეგობრობისთვის გულითად მადლობას უძღვნიან საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თბილისის მერი პახა კალაძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ასევე გულწრფელად ულოცავს ჩვენს მუსლიმ მეგობრებს რამაზან გაირამს და ნოვრუზ გაირამს!

თამარ ტალიაშვილი:

მოწვევით საქართველოს პირველი ლედი, დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობს სამიტში, რომელიც ეძღვნება ბავშვთა უსაფრთხოებას და კეთილდღეობას

მელანია ტრამპის უშუალო მოწვევით საქართველოს პირველი ლედი ვაშინგტონშია, – განაცხადა აშშ-ში საქართველოს ელჩმა **თამარ ტალიაშვილმა.**

ტალიაშვილის თქმით, იგი დელეგაციასთან ერთად მონაწილეობს სამიტში, რომელიც ეძღვნება ბავშვთა უსაფრთხოებას და კეთილდღეობას მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში.

ამ სამიტისა და ღონისძიებების ფარგლებში, ორი დღის განმავლობაში გაიმართება უმაღლესი რანგის შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობენ 45 ქვეყნის წარმომადგენლები. ესენი იქნებიან მინისტრები, პარლამენტის წარმომადგენლები, ასევე ტექნოლოგიური და გლობალური კომპანიების ხელმძღვანელები, რომლებიც ისაუბრებენ 45 ქვეყნის კოალიციის მიერ გადასადგმელ ნაბიჯებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ ტექნოლოგიების ეპოქაში ბავშვების, მოზარდების უსაფრთხოება და დაცულობა.





ამერიკის საელჩო:

34 წლის წინ აშშ-მა და საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს!

„ოცდათოთხმეტი წლის წინ, 1992 წლის 24 მარტს შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს, რამაც ჩვენ ქვეყნებს შორის ათწლეულების განმავლობაში თანამშრომლობასა და პარტნიორობას საფუძველი ჩაუყარა“ – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია.

საელჩოს ცნობით, შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის დეკემბერში აღიარა, ხოლო ეს ნაბიჯი ქვეყნების ურთიერთობების გაღრმავების მომდევნო ეტაპი იყო.

„ამერიკელი ხალხისადმი მიმართვაში, თეთრმა სახლმა აღნიშნა, რომ ეს ნიშნავდა აშშ-ის საელჩოს გახსნას თბილისში რაც შეიძლება მალე და საქართველოს მხარდაჭერას საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში გაწევრიანების მიმართულებით“...

ბრიუსელის ელიტა საკუთარ ნებას ახვევს ევროპულ ერებს!

ევროპა დგას გზაგასაყარზე, ფაქტობრივად ორად არის გაყოფილი. ბრიუსელის ელიტა საკუთარ ნებას ახვევს ევროპულ ერებს. საქმე ეხება ევროპის მომავალსა და ერების სუვერენიტეტს, – განაცხადა უნგრეთის ევროკავშირის საქმეთა მინისტრმა **იანოშ გოპამ** ბუდაპეშტში სიტყვით გამოსვლისას.

„დღევანდელ ევროკავშირში ვხედავთ კონსტიტუციურ გადატრიალებებს, რომლებიც მიმდინარეობს ამომრჩევლის ნებართვის გარეშე. სუვერენიტეტის გარეშე ევროპული ინტეგრაცია აზრს კარგავს, რადგან სუვერენიტეტის გარეშე ინტეგრაცია უბრალოდ იმპერიის მშენებლობას ნიშნავს“, – აღნიშნა **გოპამ.**

POLITICO: აშშ-ირანის ომმა ნავთობის გლობალური ბაზრები რუსეთ-უკრაინის ომზე მეტად დააზარალა

აშშ-ის მიერ ირანის წინააღმდეგ წარმოებულმა ომმა ნავთობის გლობალური ბაზრები რუსეთ-უკრაინის კონფლიქტზე მეტად დააზარალა, – ინფორმაციას POLITICO კომპანია Chevron-ის გენერალურ დირექტორზე, **მაიკ ვირტზე** დაყრდნობით ავრცელებს.

ვირტის განცხადებით, ირანის თავდასხმამ სანავთობო ტანკერებზე და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების სანავთობო ობიექტების დაბომბვამ აზიაში დიზელისა და საავიაციო საწვავის დეფიციტი გამოიწვია. **ომის გამო დარღვეულია თხევადი ბუნებრივი აირის, სასუქისა და სხვა პროდუქტების მიწოდების ჯაჭვები.**

„ახლა ბაზარზე ბევრი ნავთობი და გაზი არ შემოდის. მიწოდების ფიზიკური ჯაჭვები რეაქციას მალე არ ავლენს. ამიტომ, თუ ოდესღაც [ჰორმუზის] სრუტე გაიხსნება, საჭირო იქნება დრო, რათა ნავთობისა და საჭირო საწვავის მარაგების აღდგენა მოხდეს“, – ციტირებს POLITICO ვირტს.

ამასთან ერთად, **აშშ-ის ენერგეტიკის მდივანი, ჭრის რაიმი** აცხადებს, **რომ ნავთობისა და გაზის მიწოდების გლობალური შეფერხება დროებითია. მან სანავთობო კომპანიებს ნავთობის წარმოების გაზრდისკენ მოუწოდა.**



ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐᲡ!..

ᲚᲝᲒᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲒᲕᲙᲐᲠᲜᲐᲮᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝ ᲒᲚᲝᲕᲘᲡ, ᲓᲣᲛᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲩᲐᲦᲠᲛᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲐ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲤᲚᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲐᲓᲘ ᲮᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲘᲡᲘ ᲔᲞᲝᲥᲐ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲒᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ, ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲒᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲓᲐᲛᲔᲬᲔᲠᲐ ᲘᲛ ᲔᲠᲗ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲓᲔᲢᲐᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲨᲔᲛᲔᲛᲠᲐ. ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲫᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲒᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲘᲐᲖᲕᲔᲗᲔᲑᲐ. ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ: „ᲒᲔᲒᲣᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ!!!“, ᲠᲘᲒᲘᲗ ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲡ ᲡᲪᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ, ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲓ.

მას სვამენ გისოსებს მიღმა მყოფი, ხშირად სტერეოტიპულად იარლიყმიკრული და „ჩამოწერილი“ ადამიანები, რათა დაგვაფიქრონ ჩვენ – გარეთ, თავისუფლებაში მყოფნი, სადაც ზოგჯერ საკუთარ სულიერ ბორკილებს ვერც კი ვამჩნევთ. მოვლენის სულიერი სიმძიმე სწორედ იმ პარადოქსშია, რომ ყველაზე წრფელი სიყვარულის სიტყვები გაისმა იქიდან, საიდანაც მიკერძოებული აზროვნება მხოლოდ ზიზღსა და საბოლოო განაჩენს ელოდება.

იმ რეალობაში, სადაც ყოველდღიურობაში ხშირად ვეჯახებით ფარისევლობას და თავისუფლება ზოგჯერ ყალბი სადღეგრძელოებით იზომება, მოულოდნელი ჭეშმარიტება გაცხადდა: იზოლაციაში მყოფმა ადამიანებმა გაცილებით ნამდვილი და ცოცხალი ენით ილაპარაკეს, ვიდრე არაერთმა ჩვენგანმა, ვინც გარეთ ეგრეთ წოდებული „მართალი კაცის“ მანტიას ვართ ამოფარებული. წინასწარმეტყველ ეზეკიელის სიტყვები რომ გავიხსენოთ, თითქოს სწორედ ამ განსაცდელმა ამოიღო მათი სხეულიდან „ქვის გული“ და ამხილა ჩვენი პლასტმასის, გაქვავებული სამყარო. თუ სახარებას გადავშლით, უმთავრესი და ყველაზე მძლავრი პარადოქსი სწორედ გოლგოთაზე გვხვდება. ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლო ის არის, რომ ღმერთი ადამიანს მის დაცემამდე არ ამცირებს.

პირველი, ვინც სამოთხეში შევიდა, არა წესების დამცველი მწიგნობარი, არამედ ქრისტეს მარჯვნივ ჯვარცმული ავაზაკი იყო — კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება ცოდვაში გაატარა, მაგრამ წამიერად შეიცნო ჭეშმარიტება. **„ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“** (ლუკა 23:43). მაცხოვრის ეს სიტყვები სამუდამო შეხსენებაა კაცობრიობისთვის: ბოლო სიტყვა ყოველთვის მხოლოდ ადამიანის ცოდვას არ ეკუთვნის. ქრისტიანობა არ იწყება იქ, სადაც მხოლოდ „კარგ“ ადამიანებს ვეფერებით.

ის იწყება იქ, სადაც დაცემულშიც ვხედავთ ღვთის ხატებას. გეგუთის პატიმრების ეს ჟესტი სწორედ კეთილგონიერი ავაზაკის სინანულისა და უპირობო სიყვარულის ცოცხალი რეზონანსია. სადაც მეტია განსაცდელი და ტკივილი, იქ, როგორც წესი, მადლისა და გულწრფელობის კარიც უფრო ფართოდ იღება. საზოგადოებას გამუდმებით სჭირდება შეხსენება: ციხე იურიდიული სტატუსი და ფიზიკური სივრცეა, ის არასოდეს არის ადამიანის სულის საბოლოო განმარტება. **თავისუფლების აღკვეთა არ ნიშნავს ღირსების აღკვეთას**. სახელმწიფოს შეუძლია ადამიანს წაართვას გადაადგილების უფლება, მაგრამ ვერ წაართმევს კაცობას, თუ ის შინაგანად არ დაცარიელებულა. როგორც დოსტოევსკი წერდა „მკვდარი სახლის ჩანაწერებში“, **ყველაზე ბნელ საკანშიც კი შეიძლება იპოვო ადამიანური სულის უდიდესი სინათლე.**

ზღვარი გარეთ ყოფნასა და გისოსებს მიღმა მოხვედრას შორის ხშირად უხილავია. ეს შეიძლება იყოს წამის მეასედი, ფატალური შეცდომა, უეცარი აფექტი, საკუთარი თუ სხვისი ღირსების დაცვა. სასჯელაღსრულების დაწესებულებები სავსეა ტრაგედიებით. არ უნდა დაგვავიწყდეს ადამიანური მართლმსაჯულების ხარვეზებიც – უდანაშაულოდ მსჯავრდებულნი, რომლებიც წლების განმავლობაში იტანენ უსამართლობას ისე, რომ ადამიანურ სახეს არ კარგავენ. ციხის კედლებს მიღმა ტრაგედიის დანახვა არა სენტიმენტალურობა, არამედ სახარების ელემენტარული ცოდნაა.

მაცხოვარი ამბობს: „საპყრობილეში ვიყავი და მოხვედით ჩემთან“ (მათე 25:36). პატრიარქის მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი, ონტოლოგიური ხაზი სწორედ ეს იყო — ის განუწყვეტლივ ლოცულობდა მათთვის, ვინც საზოგადოებამ გარიყა და იზოლაციაში მოაქცია. პატიმრებს აქვთ უტყუარი რადარები. გარიყული ადამიანი განსაკუთრებული სიზუსტით არჩევს ნამდვილი თანაგრძნობის ტონს. მათ ფიზიკურ დონეზე შეუძლიათ შეიგრძნონ, ვინ არის ყალბი და ვინ უყურებს მათ ნამდვილი, მამობრივი სიყვარულით. გეგუთიდან გამოგზავნილი ეს თეთრი გვირგვინი სწორედ ამ უპირობო სიყვარულზე გაცემული ამოცნობილი პასუხია. **თუ ამ დღეებში მართლა გვსურს, შევიგრძნოთ და პატივი მივაგოთ პატრიარქის ეპოქის სულს, ეს პროცესი მხოლოდ სანთლების ანთებითა და სიტყვებით არ უნდა დასრულდეს.**

პატრიარქის ხსოვნისადმი ნამდვილი პატივი არა მხოლოდ მისი დატირება, არამედ იმ მოწყალეგის ცხოვრებაში გატარებაა, რომელსაც იგი ათწლეულების განმავლობაში ქადაგებდა. სახელმწიფომ უნდა გაბედოს ჰუმანურობის ისტორიული ჟესტი – ფართო, გონივრული, დიფერენცირებული ამნისტია იმ კატეგორიებისთვის, სადაც ეს პირდაპირ არ ანგრევს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. მართლმსაჯულებას, ცხადია, სიმტკიცე სჭირდება, მაგრამ ერს, რომელსაც ასეთი სულიერი მამა ჰყავდა, უპირველესად, გულმოწყალება და პატიება უნდა შეეძლოს.

ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ, ᲒᲐᲠᲔᲗ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲜᲔᲕᲡ ᲘᲛ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲗᲔᲗᲠᲛᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲡᲕᲔᲡ: ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ �გᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲥ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲕᲔᲥᲔᲕᲗ, ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲧᲐᲚᲑᲔ ᲘᲥ — ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ „ᲬᲔᲡᲘᲔᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ“ ᲕᲔᲥᲐᲮᲘᲗ? ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲐᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ,
22.03.2026

„ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ“ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲓᲒᲐ!

ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲠᲣ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲣᲡ-ᲛᲐ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ

„ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 22 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 14:30 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲝᲠᲘ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲘ ᲖᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ“, – ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია.

უწყების ცნობით, ზარების ავტორი ამბობდა, რომ იმყოფებოდა სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული და დანაღმული ჰქონდა სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორია.

„თუ უახლოეს 20 წუთში არ მოხდებოდა ევაკუაცია, განხორციელდებოდა აფეთქება. ზარების ინიციატორმა კვალის დაფარვისა და მისი იდენტიფიცირების გართულების მიზნით, შესაგამისი პროგრამული უზრუნველყოფით შეცვალა თავისი ხმა, გამოიყენა უცხო ქვეყნის ვირტუალური სატელეფონო ნომერი და დაფარა IP მისამართი.

კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გუშინ საღამოსვე შევძელით დანაშაულში მხილებული არასრულწლოვანი პირის იდენტიფიცირება და მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. ამოღებულია რამდენიმე ერთეული მობილური ტელეფონი, ლეპტოპები და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა მტკიცებულებები.

არასრულწლოვანი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

არასრულწლოვანს ბრალდება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლით წარედგინება, რაც სასჯელის სახით 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და მის კონტრტერორისტულ ცენტრს გააჩნია ყველა პირობა, მათ შორის თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენისა და იდენტიფიცირებისთვის. ამიტომ, ვაფრთხილებთ ყველას, თითოეულ მსგავს ფაქტზე ჩვენი მხრიდან იქნება მკაცრი სამართლებრივი რეაგირება“, – წერია ინფორმაციაში.

ᲛᲠᲔᲕᲚᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲒᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, 08:00-ᲓᲐᲜ 22:00 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲢᲐᲫᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲛᲘᲢᲠᲝ�პᲝᲚᲘᲢ ᲨᲘᲝᲡ (ᲛᲣᲰᲘᲠᲘ) ᲚᲝᲪᲕᲐ-ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗ, ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, 40 ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ, ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ, ᲛᲪᲮᲔᲗᲐ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝ�პᲝᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲣᲛ-ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝ�პᲝᲚᲘᲢ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲝᲮᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐᲡ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ, – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციაში.

საპატრიარქოს ცნობით, მორწმუნე მრევლს ტაძარში შესვლა და პატრიარქის საფლავისთვის პატივის მიგება შეეძლება ყოველდღე, 08:00-დან 22:00 საათამდე.

„ტაძარში ყოველდღიურად აღესრულება ღვთისმსახურება. ამის გათვალისწინებით, სასულიერო პირების მიერ პანაშვიდი 11:00-დან 16:00-მდე და 18:00-დან 22:00 საათამდე განუწყვეტლივ აღევლინება“.

„სიმწიფის ატესტატი“ ევროკავშირისთვის

ალბათ, გეხსომებათ, როგორ უწოდა ყოფილმა ევროკომისარმა ქოგეფ ბორელმა ევროკავშირს „ბაღნარი“, ხოლო მის ირგვლივ არსებულ ქვეყნებს – „ჯუნგლები“. შემდეგ კი თბილისში ჩამოსულმა, ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობა პროფესორისა და ოროსანი სტუდენტის ურთიერთობას შეადარა. ეს გახლდათ თანამედროვე ევროელიტებისთვის მახასიათებელი „ევროსნობიზმის“ დემონსტრირება. ამ „ევროსნობიზმს“ კი, 1992 წლის 7 თებერვალს, ახალი სული შთაბერა ევროკავშირის შექმნამ, რომლითაც „ბებერმა კონტინენტმა“ ევროპამ, თითქოსდა, ახალი „სიმწიფის ატესტატი“ აიღო. სინამდვილეში, ეს იყო ახალი პოლიტიკური „მათრობელა“ ევროპის ქვეყნების მოსახლეობისთვის, რომლებიც უცებ ევროკავშირის მოქალაქეები გახდნენ. ეს „მათრობელა“ ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმაც აიტაცა და თავი „ქართველად და, მაშასადამე, ევროპელად“ წარმოიდგინა, მას შემდეგ, რაც 1999 წელს, საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა.

თუმცა, ევროკავშირის „სიმწიფის ატესტატი“ ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც გვერს წარმოედგინა. ახალმა გაერთიანებამ თავისი რეალური სახე პირველად მაშინ გამოაჩინა, როდესაც გადამწყვეტი წვლილი შეიტანა იუგოსლავიის, როგორც სახელწიფოს დანგრევაში, რომლის შედეგებიც ახლაც გვახსენებენ თავს. გამოხდა ხანი და ევროკავშირის „ბაღნარს“ ეკალ-გარდეგი შეერია, პოლიტიკური მანქანის მართვის მექანიზმები თანდათან გაცვდა.

ბრიუსელში მოკალათებული ევრობიუროკრატია, რომელსაც ამ მექანიზმების მოვლა-პატრონობა ევალება, აშკარად ვერ ახერხებს ამ მექანიზმების განახლებას და ამის უამრავი კონკრეტული მაგალითი არსებობს. მათ დონალდ ტრამპი იმიტომ მოიძულეს, რომ ის არის აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ევრობიუროკრატიის უმწიფრობა ასე დაუნდობლად გამოიტანა საჯაროზე.

თანამედროვე ევროკავშირის ევროგიუროკრატია, რომელიც დაემსგავსა გოთლიდან ამოშვებულ ჯინს, აქტიურად და აგრესიულად ცდილობს „ახალი ევროპის“, ულტრალიბერალური მორალურ-ღირებულებითი თუ მსოფლმხედველური კრიტერიუმების ექსპორტს სამეზობლოში. სიცრუე და ორმაგი სტანდარტები ახალი ევროკავშირის სავიზიტო გარათი გახდა და საქართველოს შემთხვევაც საკმარისია ამის აღწერისთვის. თავს აღარ შეგაწყენთ იმის ხელახლა მოყოლით, თუ როგორ ხდება ახალი „ევრო-ღირებულებების“ ექსპორტი საქართველოში, ყველამ უკვე იცის ეს თემა.

უფრო თვალსაჩინო მაგალითს მოვიყვან, თუ რა განსხვავებაა ევრობიუროკრატიის სიტყვასა და საქმეს შორის, თუნდაც ირანში ომის ფონზე წარმოქმნილი მწვავე ენერგოკრიზისის ფონზე. ევრობიუროკრატია კატეგორიულ უარს ამბობს რუსეთიდან ენერგომატარებლების შესყიდვაზე, მიუხედავად იმისა, რომ მარტში, ევროპაში გაზის ფასმა ათას კუბურ მეტრზე 850 დოლარს მიაღწია. თუმცა, თუ მჭახე რიტორიკის ფარდის უკან შევიხედავთ, ვნახავთ, რომ ევროპის კერძო კომპანიებმა 2026 წლის იანვარ-თებერვალში, ევროპაში რუსული თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტი 2025 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 11%-ით გაზარდეს. სხვათა შორის, რუსეთის მიერ ევროპისგან მიღებული ეს შემოსავლები, უკრაინაში ომის გაგრძელებასაც ხმარდება. ამ დროს ევრობიუროკრატია საქართველოსგან მოითხოვს, რომ მთლიანად შეწყვიტოს რუსეთიდან ენერგომატარებლების იმპორტი, კომპენსაციის რამე მექანიზმების გარეშე. შეწყვიტეთ და მორჩა! ჩვენ ასე გვინდა!

ევროკავშირის ორმაგი სტანდარტები საქართველომ საკუთარ თავზე სრულად გამოსცადა, მას შემდეგ, რაც ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი დაიწყო. ორაზროვანი პრინციპი „მეტი მეტისათვის“ („მორე ფორ მორე“), რომელსაც ევროკავშირს იყენებს მათ მიმართ, ვისაც ევროკავშირის კლუბში შესასვლელი გილეთის ყიდვა სურს, სინამდვილეში, გახლავთ მათი დამორჩილების მექანიზმი. ევროკავშირის კლუბში შესვლის მსურველთა რიგში სხვადასხვა ქვეყნები დგანან. ევროგიუროკრატია კი არის ერთგვარი მოლარის როლში და გილეთის მსურველთ განსხვავებულ ფასს უწესებს. როდესაც საქართველო ამ მექანიზმს არ დაემორჩილა, რადგანაც ფაქტობრივად, ის ერის კულტურული და რელიგიური იდენტობის წაშლას, ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლასა და სუვერენიტეტის მინიმიზაციას ემსახურებოდა, ევროკავშირის შეტევების სამიზნე გახდა და არის დღემდე.

უკრაინასთან დამოკიდებულება ძალიან კარგად წარმოაჩენს ამჟამინდელი ევროკავშირის სახეს. როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ევრობიუროკრატიამ, როგორც ჩანს, თავისთვის შანსი დაინახა და გადაწყვიტა აშშ-თან ერთად, უკრაინა გამოეყენებინა რუსეთისთვის „სტრატეგიული მარცხის“ მიყენებისთვის. ამ იდეით შეპყრობილმა ევროპამ, ფაქტობრივად, უარი ათქმევინა უკრაინას უკვე ხელმოწერილ სამშვიდობო შეთანხმებაზე. ევროკავშირი უკრაინას აწვდის საშუალებებს ომის გასაგრძელებლად, რომელიც უკრაინული მხარისვე აღიარებით, ხშირად არ არის საკმარისი, ეფექტიანი და ადეკვატური. ამავე დროს, ევროკავშირი რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს გოლომდე არ წყვეტს.

დღეს უკრაინა უმძიმეს მდგომარეობაშია და იძულებულია, ჩაერთოს სხვების მიერ ორგანიზებულ ე.წ. „სამშვიდობო მოლაპარაკებებში“, რომელიც მას მნიშვნელოვან ტერიტორიულ დათმობად შეიძლება დაუჯდეს. იმისთვის, რომ მწარე აბზე შაქარი მოეყაროთ, უკრაინას ჯერ დაპირდნენ ევროკავშირში დაჩქარებულ გაწევრებას 2027 წლისთვის, როგორც ერთგვარ საკომპენსაციო „ჯილდოს“, შემდეგ კი ევროკავშირში დაჩქარებულად გაწევრების პირობად „შეაპარეს“ ტერიტორიული კომპრომისები.

თუმცა, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, ევრობიუროკრატებმა წარბშეუხრელად წაიღეს უკან დანაპირები. მათ კიევს მოულოდნელად განუცხადეს, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ჯერ არ არიან მზად, უკრაინას ბლოკში გაწევრების კონკრეტული თარიღი შესთავაზონო. გამოდის, რომ ბრიუსელი, ვიდრე ეს მას სჭირდებოდა, უკრაინას კვებავდა ევროკავშირში სწრაფი გაწევრების ილუზიებით.

ევროპულ პოლიტიკურ წრეებში არც მალავენ, რომ ვიდრე უკრაინა იბრძვის, ევროპას შეუძლია, შედარებით უსაფრთხოდ იგრძნოს თავი (!). ფაქტობრივად, ასე გახდა უკრაინა ევროპის მძევალი. მისგან ითხოვენ, იდგეს ცალ ფეხზე ევროკავშირის წინაშე იქამდე, ვიდრე ეს ევროკავშირს სჭირდება. როგორც ჩანს, უკრაინაც ნელ-ნელა მიეჩვია ამ მდგომარეობას.

უკრაინის მოვლენების ფონზე, კარგად გამოჩნდა ევრობიუროკრატიის რეალური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ყველამ დაინახა, ვისაც სურდა დანახვა, მათი „კვერისა და მათრახის“ პოლიტიკა და საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების სურვილი, ჩვენი ინტერესების შეწირვის ხარჯზე. ის, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ევროკავშირის, როგორც ინსტიტუტის და მისი ფასეულობების, როგორც მინიმუმ გადაფასება იწყება, აჩვენა თუნდაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა. ევრობიუროკრატიის მოთხოვნების წინაშე „ცალ ფეხზე დგომის“ ეფექტი საქართველოში ვერ განხორციელდა. სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი ტესტი აღმოჩნდა ამჟამინდელი ევროკავშირის მიმზიდველობისა და „სიმწიფის ატესტატის“ ავთენტურობის დასადგენად.

გავლენიან გაზეთ „El-Pais“-ის სტატიამ, რომ ევროკავშირისა და ნატოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ყველაზე უარესია ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფართო რეზონანსი ჰპოვა ბლოგოსფეროში. არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამის დასამტკიცებლად.

როგორც ჩანს, ევროპის მიერ 1992 წელს აღებული „სიმწიფის ატესტატი“, სახელად „ევროკავშირი,“ყალბი აღმოჩნდა. ევროპას ხელახლა მოუწევს ატესტატის მისაღებად გამოცდის ჩაბარება. საკითხავია, როგორ ჩაბარებს ამჟამინდელი პოლიტელიტების პირობებში, ან აქვს თუ არა ამის სურვილი საერთოდ. ჩემი აზრით, სურს თუ არა, ევროპას აუცილებლად მოუწევს „სიმწიფის ატესტატის“ ხელახლა აღება. სხვა გამოსავალი მას უბრალოდ არა აქვს.

როგორც იტყვიან, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. უცნობია, რამდენი ხანი დასჭირდება ევროკავშირის ურმის გადაბრუნებას, რომ განვითარების ახალი გზა დაინახონ. ილუზიაა ვიფიქროთ, რომ დაბრუნდება ის ევროპა, რომელსაც „დაძაბულობის განმუხტვის კონტინენტს“ უწოდებდნენ. იმ ევროპაში 1975 წელს, ნეიტრალური (დღეს კი NATO-ს წევრი) ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების აქტი გაფორმდა, რომელიც დღეს ფარატინა ქაღალდად იქცა.

თუმცა, დავიტოვოთ უკეთესის იმედი!

ზაალ ანჯაფარიძე

გამომცემლობა „არტანუჯმა“ წელს გამოსცა აკადემიკოს როინ მეტრეველის ახალი წიგნი – „განათლება – გზა წარმატებისა“. იგი გვიჩვენებს დღევანდელი დღეების განათლების რეფორმების წინაისტორიას, განათლებისა და პოლიტიკის ურთიერთობას, თსუ-ს ჩართვას საერთაშორისო სისტემაში. როინ მეტრეველი ამ პროცესის ერთ-ერთი წარმმართველი თავად იყო. ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა მის სიტყვას, განსჯას, დაკვირვებას, შეხვედრებს, გამოსვლებს.

დიდთა საქმეთა საკეთებლად

წიგნი მემუარულ-პუბლიცისტური ფორმით არის დაწერილი. იგი გვაცნობს ავტორის გარეგნულად მშვიდ, შინაგანად კი დრამატულ ცხოვრებას. ავტორი ფაქტებით მსჯელობს და თითქმის პირადი ემოციებისთვის ადგილს არ ტოვებს.

მაგრამ მის მიღმა იგულისხმება სტრესული სიტუაციები, პოლიტიკურ პროცესებში ლავირება, კომპრომისები უმთავრესის გადასარჩენად. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ როგორი საძნელო იქნებოდა ხელმძღვანელობა, სამეცნიერო მუშაობა, მუდმივი ინტრიგების მოგერიება მერყევი და რევოლუციური პროცესების ფონზე, მათი სინთეზირება.

80-იან წლებში ენციკლოპედიის გამოცემა იყო ერთ-ერთი მთავარი კულტურული მოვლენა, 90-იან წლებში უნივერსიტეტის გადარჩენა და საერთაშორისო კონტაქტების ძიება (მაგ., ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრობა, ბოლონიის „მაგნა პარტას“ ცნობა), ახლა – აკადემიის აღორძინება (რომელიც თითქმის დაშალა მიხეილ სააკაშვილმა).

ყველა ამ პროცესის მოთავე იყო როინ მეტრეველი, რაც საინტერესოდ არის გადმოცემული და ფოტოსურათებით ილუსტრირებული.

დღეს, როცა ლომაიას დამანგრეველი ე.წ. რეფორმის შედეგად აუდიტორიები ცარიელია, ლექციებს თითქმის არავინ ესწრება და სტუდენტს ლექტორი აღარ აინტერესებს, კიდევ უფრო აქტუალური ხდება გამოჩენილი მეცნიერისა და მოღვაწის გაფრთხილება: „კარგად უნდა გავაცნობიეროთ: გადარჩენის გზა ერთია – მოზარდი თაობა, მასზე რეალური ზრუნვა, სწორ გზაზე დაყენება – აი, ერთადერთი იმედი ხვალისა. ორიგინალურს არ ვამბობ, პირიქით, ვიმეორებ მრავალჯერ გამოთქმულს, მაგრამ ვიმეორებ უდიდესი რწმენით:

ჩვენს ქვეყანას პრიზისიდან გამოიყვანს და გადაარჩენს ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლება. განათლება ერისა და საზოგადოების რეალური გადარჩენის ჭეშმარიტი გზაა. რეალური განათლებისათვის კი აუცილებელია მეცნიერების (სწორედ ეროვნული მეცნიერების) განვითარებაზე ზრუნვა“.

* * *

როინ მეტრეველი სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა გამოჩნდა პოლიტიკურ და სამეცნიერო ასპარეზზე. წიგნში აღნიშნულია, რომ მას 1972 წელს მოუხდა პოლიტიკური კარიერის დატოვება – ედუარდ შევარდნაძე მასში კონკურენტს ხედავდა. ეს მართლაც ასე იყო – 32 წლის როინ მეტრეველი უკვე იყო კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი, პარტიის ცეკას ბიუროს წევრობის კანდიდატი და ერთ-ერთი მთავარი განყოფილების ხელძღვანელი. მის ნიჭიერებას, ცოდნას, ორგანიზატორულ უნარს აფასებდა რესპუბლიკის პირველი პირი ვასილ მჟავანაძე, აფასებდა და ხელს უწყობდა პარტიულ სისტემაში წინსვლისათვის.

როინ მეტრეველს იცნობდა ლეონიდ ბრეჟნევი. ამიტომ დაუშვებლად მიაჩნდა მისი ყოფნა პარტიულ იერარქიაში. ეტყობა, ედუარდ შევარდნაძეს ეჭვი მაინც არ ასვენებდა და წლების განმავლობაში უნდობლად და კრიტიკულად უყურებდა როინ მეტრეველის მოღვაწეობას, როგორც ეს წიგნშია ნაჩვენები, ხან რა ბრალდებას წაუყენებდა, ხან – რას.

ამის შედეგი იყო ის, რომ აიძულებდნენ თვითკრიტიკით გამოსულიყო, ხელს უშლიდნენ სადოქტორო დისერტაციის დაცვაში. მაგრამ, როგორც გვეუბნება ავტორი, სამჭომ უჩვეულო სიმტკიცე გამოიჩინა და ყველა წევრმა ხმა მისცა ახალგაზრდა დისერტანტს, ე.ი. საზოგადოება არ იზიარებდა შევარდნაძის სუბიექტურ პოზიციას.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ასეთი ფაქტი: 1974 წელს, როცა როინ მეტრეველი ოფიციოზისაგან შერისხული იყო, მზადდებოდა ჟურნალ „განთიადის“ პირველი ნომრები. რედაქტორმა გურამ ფანჯიკიძემ მითხრა, წამო, გრიგოლთან შევიდეთო. გურამმა გააცნო გრიგოლ აბაშიძეს რამდენიმე მასალა და შემდეგ უთხრა, როინ მეტრეველის წერილი გვაქვს და როგორ მოვიქცეთო.

ბატონმა გრიგოლმა უყოყმანოდ თქვა:

– როინ მეტრეველი მაინც როინ მეტრეველია!

წერილი დაიბეჭდა. წიგნი მრავალ საგულისხმო, საზოგადოებისთვის უცნობ ფაქტს გვაცნობს. ერთ-ერთი ასეთია პერესტროიკის პერიოდში როინ მეტრეველის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნის საკითხი, რომელიც ყველასთან შეთანხმებული ყოფილა. მაგრამ მოულოდნელად უარი უთხრეს – ჩანს ისევ აშინებდათ მოსკოვში მყოფი მინისტრის ლანდი! მაგრამ როცა დაბრუნდა შევარდნაძე, შეიცვალა ადამიანებთან ურთიერთობა. მაგ., ჩრდილში მოაქცია შოთა ნიშნიანიძე, დაიახლოვა რეზო ამაშუკელი და ჯანსუღ ჩარკვიანი. როინ მეტრეველსაც გულთბილად ექცეოდა, რადგან უკვე მას მეტოქედ აღარ მიიჩნევდა. ასეთი „ტრანსფორმაციის“ მაგალითად მოტანილია შევარდნაძის წერილიდან ციტატა.

ახალგაზრდისათვის პოლიტიკური სივრცის მოულოდნელი დატოვება, ცხადია, მტკივნეული იქნებოდა. მაგრამ საბოლოოდ ეს კრიზისი მისთვის წარმატების საწინდარი აღმოჩნდა – დიდ საქმეთა საკეთებლად. ამის შემდეგ დაიწერა დიდმნიშვნელოვანი ნაშრომები – **„დავით IV აღმაშენებელი“, „მეფე თამარი“, „საქართველო რუსთაველის ეპოქაში“... გახდა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი, აკადემიის პრეზიდენტი, არაერთი სამეცნიერო პრემიის ლაურეატი, მრავალი სამეცნიერო და პედაგოგიური იდეის რეალიზატორი.**

შემდეგ, 90-იან წლებში, მისთვის არაერთხელ შეუთავაზებიათ პოლიტიკაში დაბრუნება. მაგრამ არჩია დარჩენილიყო მეცნიერული კურსის ერთგული. ალბათ გამონაკლისი იყო უზნაესი საბჭოს დეპუტატობა, როცა მან სხვებთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. მაგრამ ეს უფრო იყო ეროვნული მოღვაწეობის ნაწილი და პასუხობდა მის მოქალაქეობრივ და სამეცნიერო კვლევა-ძიების ინტერესებს.

როგორც გვეუბნება წიგნის ავტორი, მან 14 წელი იმუშავა ენციკლოპედიაში მთავარი რედაქტორის, პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის მოადგილედ. ენციკლოპედიის გამოცემას ყველა მოუთმენლად ელოდა, მაგრამ ის გაჭიანურდა, თურმე ერთხანს იმედიც გადაეწურათ. შევარდნაძეს არც ირაკლი აბაშიძე მოსდიოდა თვალში. საზოგადოების მოლოდინი დიდი იყო. მიუხედავად ობიექტური და სუბიექტური დაბრკოლებებისა, რასაც გვიყვება როინ მეტრეველი, სწორედ მისი მონდომებისა და ორგანიზატორული ძალისხმევის შედეგად 1975 წელს გამოვიდა პირველი ტომი. შემდეგ კი ყოველწლიურად იბეჭდებოდა მორიგი ტომი, თუმცა ცალკეული წინააღმდეგობანი (მაგ., აფხაზ მეცნიერთა და ცეკას მხრიდან) მაინც არსებულა, რაზეც მაშინ საზოგადოებამ არაფერი იცოდა. ერთ-ერთ ბრალდებად ისიც სახელდებოდა, რომ ტომებში ვრცლად იყვნენ წარმოდგენილი მენშევიკი მოღვაწეები. ენციკლოპედიის მესვეურთა და სტატიის ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მართლაც დაარღვიეს კომუნისტური სტერეოტიპი და მაქსიმალური ობიექტურობით წარმოადგინეს როგორც ცალკეულ მოღვაწეთა ბიოგრაფიები, ისე მათი თვალსაზრისი.

ტომეულებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, 80 000-იანი ტირაჟიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი. მაგრამ ვისაც ახსოვს, იცის როგორი პრობლემა იყო მაშინ ქაღალდი, მითუმეტეს – მაღალი ხარისხისა. პერესტროიკის პერიოდში როინ მეტრეველს, რამდენიმე კოლეგასთან ერთად, ენციკლოპედიის მაღალი სამეცნიერო და პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემისათვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. საინტერესოდ არის გადმოცემული ურთიერთობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, როინ მეტრეველის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნა. აქ ჩანს ზვიადის ბუნებაც, ძიების პროცესი, ყოყმანიც და პირდაპირობაც. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია პრეზიდენტის სიტყვები: **„ჩვენ შორის თამრიკო გამსახურდია და შოთა მესხია არიან. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის რექტორად თქვენ დაინიშნოთ“.** ამის შემდეგ ბატონი როინი დათანხმდა რექტორობას იმ ურთულეს პერიოდში.

როინ მეტრეველის რექტორად დანიშვნას გამოეხმაურა ჩვენი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ – პირველ გვერდზე დავბეჭდეთ ოთარ მიმინოშვილის წერილი „რექტორი“.

საინტერესოა როინ მეტრეველის მიერ ერთი ფაქტის გახსენება – პუშკინის ინსტიტუტის რექტორად რომ დაენიშნათ, სათანადო გასაუბრება გაუვლია მოსკოვში სსრკ განათლების სამინისტროში და მხოლოდ ამის შემდეგ დაუმტკიცებიათ რექტორად. ამჯერად, ცხადია, ასეთი პროცედურა აღარ იყო საჭირო. განათლება, ახალი თაობა და ახალი კადრები სახელმწიფოსათვის მუდამ აქტუალური პრობლემა იყო, რათა მათი მეშვეობით განესაზღვრათ ქვეყნის მომავალი. ეს ძიების პროცესსაც გულისხმობს, თუმცა ოპტიმალური ვარიანტი ჯერ არ ჩანს. მაგრამ ამგვარი ძიება, რომელსაც სადღეისოდაც ძირითადად არასპეციალისტები, არაპროფესიონალები წარმართავენ, უფრო ნგრევა გამოდის, ვიდრე აღშენება. ვხედავთ, მინისტრების ცვლას არ მოაქვს შედეგი. ექსპერიმენტები კი გრძელდება, რაც მტკივნეულია საზოგადოებისათვის.

საბჭოთა განათლების სისტემა, რომელზეც ჩვენ აღვიზარდეთ, გერმანული მოდელიდან ამოდიოდა. გერმანული კი ეფუძნებოდა ბერძნულ-ლათინურს. იდეოლოგიური ფაქტორის ჩამოცილებით და ცალკეული კორექტივებით ჩვენ მივიღებდით კლასიკური განათლების სისტემას, როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე. მაგრამ აქ მოქმედებდა ორი ფაქტორი, რომელსაც ვერ გავექცეოდით: პირველი იყო გლობალიზაციის პროცესი და მეორე – ქვეყნისათვის განვითარებადის სტატუსის მინიჭება. საბჭოთა კავშირის უეცარი დაშლის შემდეგ კი, ამათთან ერთად, ჩვენ აღმოვჩნდით პრობლემების მთელი სპექტრის პირისპირ, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა ქვეყნის ხელმძღვანელ პირთა ვოლუნტარიზმი და ეგოცენტრიზმი, ეკონომიკური კრიზისი, შიდა ქაოსი და სეპარატისტული მოძრაობა.

როინ მეტრეველი იხსენებს 20-30-იანი წლების ბოლშევიკ რექტორებს, მათ ტრაგიკულ დასასრულს, უღირს მოპყრობას ივანე ჯავახიშვილის მიმართ, იხსენებს პერესტროიკის პერიოდში და შემდეგ რექტორების ხშირ ცვლასაც. დასკვნის სახით კი წერს:„უნივერსიტეტი პრაქტიკულად განსაზღვრავდა ეროვნულ ორიენტაციას. ამიტომ ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია უნივერსიტეტი და თავად ემართა. ზოგ შემთხვევაში საკმაოდ დიდი „მსხვერპლის“ ფასად ახერხებდნენ ამას. არცერთი ქვეყნის ისტორიაში უმაღლესს არ შეუსრულებია ისეთი მნიშვნელოვანი როლი, როგორიც ქართულმა უნივერსიტეტმა შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში“.

როინ მეტრეველი 13 წლის განმავლობაში იყო უნივერსიტეტის რექტორი. ეს იყო უმძიმესი პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში, რაც ყველას კარგად გვახსოვს. მან შეძლო შიდა ქაოსის პირობებში, როცა თითქმის არ იყო შუქი, ხელფასი, გათბობა, შეენარჩუნებინა პროფესურა, სტუდენტთა კონტინგენტი და ნორმალურად წარემართა სასწავლო პროცესი. წიგნში არაერთი ფაქტია მოხმობილი თუ როგორ ყალიბდებოდა კონტაქტები ევროპულ უნივერსიტეტებთან, ეწყობოდა შეხვედრები, კონფერენციები, იბეჭდებოდა წიგნები, იცავდნენ დისერტაციებს, ირჩევდნენ საპატიო დოქტორებად გამოჩენილ უცხოელ მოღვაწეებს და მეცნიერებს. უნივერსიტეტის ეზოში აშენდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი და ა.შ.

ჩემთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელია კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტის გახსნა, რომლის იდეა ეკუთვნოდა რევაზ მიშველაძეს. ჩვენ ბატონ როინთან მივიტანეთ ფრაქცია „XXI საუკუნის“ წევრების მიმართვა, მაგრამ რადგან ოპოზიციას განვეკუთვნებოდით, დავურთეთ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელის ხელმოწერაც (ისინი „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები იყვნენ). ბატონმა როინმა კაბინეტისათვის გამოყო I კორპუსის II სართულზე, ყოფილი დოსაფის ოთახი, ილიასა და აკაკის კაბინეტების წინ, გაარემონტებინა, ექსპონატები და სკამები ჩვენ მივიტანეთ და 1990 წლის 26 მაისს თავად გახსნა, რომელსაც ესწრებოდა განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია, ედუარდ შევარდნაძემ კობა იმედაშვილის ხელით გამოაგზავნა მისალმება. რექტორის ბრძანებით მე დავინიშნე კაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელად.

რამდენიმე წლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის თანამოაზრე ლომაიამ და ხუბუამ კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტიც გააუქმეს და დაანგრიეს, ისევე, როგორც სხვა კაბინეტები, კათედრები და ფაკულტეტები. უნივერსიტეტს ჩამოაცილეს სამეცნიერო ნაწილი და ფაქტობრივად კოლეჯად აქციეს. წიგნში ეფექტურად, მწერლური შთამბეჭდავი შტრიხებით არის ნაჩვენები სააკაშვილთან ურთიერთობა, მისი მერყევი, იმპულსური, არასტაბილური ხასიათი.

დღეს ამ კაცს ედავებიან კოსტიუმებისა და მასაჟისტების გამო, და არა იმიტომ, რომ უნივერსიტეტი დაატოვებინა ძირითად თანამშრომლებს, რომ დაშალა აკადემია, მხატვართა კავშირი, დაარბია მწერალთა კავშირი, ჟურნალისტთა სასახლე „სამშობლო“, თავისი ავანტიურის გამო ტერიტორიები დააკარგვინა ქვეყანას...

როგორც წიგნშია ნაჩვენები, თურმე სააკაშვილი პრეზიდენტობის შემდეგ თავის ერთ-ერთ შეცდომად მიიჩნევდა, რომ არ გააუქმა მეცნიერებათა აკადემია!

უნივერსიტეტის პროფესურა რომ იოლად მოეშორებინათ და მისი ღირსება შეელახათ, როინ მეტრეველი ისევე აიძულეს დაეტოვებინა უნივერსიტეტის რექტორის პოსტი, როგორც ძველ დროში მოხდა ივანე ჯავახიშვილის მიმართ, თუმცა ჰქონდა საყოველთაო მხარდაჭერა... მაშინ კომკავშირელები აქტიურობდნენ, ახლა – კმარელები. ორივენი კი ხელისუფლების ანტიეროვნულ დავალებას ასრულებდნენ.

ბატონ როინ მეტრეველის წიგნი „განათლება – გზა წარმატებისა“ შუქს ჰფენს ჩვენი ისტორიის მრავალ რთულ და უცნობ საკითხს, აღგვიძრავს მრავალ საფიქრალს, გვიჩვენებს თუ რა ძნელია დიდ საქმეთა აღსრულება და გვინერგავს წწმენას, რომ „სახელმწიფო პოლიტიკის წარმატების გარანტი შეიძლება გახდეს მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტულობა“.

სოსო სიგუა,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
2026, 10 მარტი.

პატრიარქი – ერის სულიერი მოძღვარი

1985 წლის იანვარია. მირეკავს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული, ჩემი მეგობარი ანზორ ნიკლაური და მეუბნება: ჩემო ომარ, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შენთან შეხვედრა და შენი აშენებული ქორწინების სასახლის დათვალიერება სურსო. მესიამოვნა. თან გამიკვირდა: მართალია, წარსულთან შედარებით საგრძნობლად „დათბა“ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი თავისუფლება იგრძნობოდა, მაგრამ ეკლესიასთან უშუალო და ღია ურთიერთობას მაინც ერიდებოდნენ თანამდებობის პირები. მაშინ საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ვიყავი. მიუხედავად ამისა, ერთი წუთითაც არ მიყოყმანია, დავთანხმდი და პატრიარქთან შეხვედრის დროც დავთქვით.

სწრაფი ნაბიჯებით ავუყევი ძველი საპატრიარქოს ხის ვიწრო კიბეებს. დავინახე, კიბის თავში მდგარი პატრიარქი მიღიმოდა და ისე შემომცქეროდა, როგორც დიდი ხნის მონატრებული მამა – საკუთარ შვილს. ძალიან თბილად შემეგება, ჩამეხუტა და მეამბორა. არადა, ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო უწმინდესთან. ამ უდიდესმა ადამიანურმა სითბომ ჩემი გული სამუდამოდ მოინადირა...

შეხვედრა, რომელიც პატრიარქის თაოსნობით შედგა, კალისტრატე ცინცაძის ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდა მცირერიცხოვანი წმინდა სინოდის თითქმის მთელი შემადგენლობა. უნეტარესმა თითოეულ მათგანთან წარმადგინა. როცა გაცნობის ოფიციალური ცერემონია დასრულდა, პატრიარქმა საჩუქრად გადმომცა მოსკოვში 1933 წელს გამოცემული მწვანეყდიანი რუსულენოვანი ბიბლია წარწერით – „ბატონ ომარ მარგველაშვილს, კეთილი სურვილებით, ილია II. 23.01.1985 წელი“, ხატთან და თავის სადარბაზო ბარათთან ერთად. მან გულისტკივილით ბრძანა: „მიუხედავად ჩემი დიდი ძალისხმევისა, მთავრობის გულგრილობის გამო, ქართულენოვანი ბიბლიის გამოცემას ვერ მივაღწიეთ...“

შემდეგ ხმელი ხილითა და კონიაკით გაწყობილ მაგიდასთან მიგვიწვია. უწმინდესმა ვერცხლის ძველებური პატარა სასმისი თავისი ხელით შემივსო, მერე კი სრულიად საქართველო და ქართველი ხალხი დალოცა... შემდეგ სინოდის წევრები, ანზორი და მეც გვადღეგრძელა. ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, ჩვენც შევსვით პატრიარქის სადღეგრძელო.

– ახლა კი წავიდეთ, თქვენი აშენებული ქორწინების სასახლე დავათვალიეროთ. ძალიან აქებენ, მაგრამ მოყოლილს მაინც ნახვა სჯობს. მე ვიცი, რომ დიდებული სპორტის სასახლეც თქვენი აშენებულია, – ბრძანა პატრიარქმა და წამოვდექით. დავათვალიერებინეთ გაჩირაღდნებული სასახლის დარბაზები. ოქროს ქორწილსაც დავესწარით. პატრიარქი და მისი თანმხლები სინოდის წევრები აღფრთოვანებულნი იყვნენ. დამშვიდობებისას კი გვითხრა:

– ძალიან ნასიამოვნები ვარ. კარგი იქნება, ამ ლამაზ შანდლებში, ნათურების ნაცვლად, თაფლის სანთლები რომ ენთოს – ამ საოცარ ნაგებობას მეტ სითბოს, მიმზიდველობასა და სურნელს შესძენდა.

ეს წინადადება ძალზე საინტერესოდ მეჩვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აღსრულება არ ეწერა.

* * *

გავიდა დრო და ისევ მომიხდა პატრიარქთან შეხვედრა. უწმინდესმა მთხოვა, აღმედგინა ახალი საპატრიარქოს უკან მდებარე დაზიანებული ეკლესია – წირვა-ლოცვა ვერ ჩაგვიტარებია, გვეშინია, უეცრად არ ჩამოინგრეს და უბედურება არ დატრიალდესო... ეკლესიაში ადრე რაღაც „ცეხი“ ყოფილა გახსნილი და მისი გედი აღარავის აინტერესებდა.

მაშინ პირველად ვიხილე ჩვენი პატრიარქი ანაფორის გარეშე. გვიანი შემოდგომა იყო და თბილად ეცვა. კათოლიკოს-პატრიარქი თავადვე წაგვიძღვა და გავერანებული ეკლესია დაგვათვალიერებინა. შევღონდით. უწმინდესს დახმარება აღვუთქვით. მან დაგვლოცა.

საქმის გადადება არ შეიძლებოდა.

ვინაიდან არც სათანადო პროექტი არსებობდა და არც რაიმე ნახაზი ან ესკიზი, პატრიარქს ვთხოვე, საქმეში ჩახედული პიროვნება დაგვხმარებოდა. მოგვამაგრეს რუსეთში დაბადებული და აღზრდილი მღვდელი იოაკიმე (თუ მეხსიერება არ მღალატობს, გვარად ასათიანი), რომელიც მსუბუქი რუსული აქცენტით, თუმცა შესანიშნავი ქართულით მეტყველებდა. მას უკვე ვიცნობდი: მშენებლობის სამინისტროში ხშირად მოდიოდა ჩემთან ეკლესიის საჭიროებისთვის და მეც ვეხმარებოდი სამშენებლო მასალებით, ტექნიკითა და ტრანსპორტით. მღვდელმა იოაკიმემ მართლაც ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია და პატრიარქის თხოვნა ჩვენივე მატერიალური, ფინანსური და ტექნიკური რესურსებით წარმატებით შევასრულეთ. საქმეში მართლაც სული და გული ჩავდეთ, რათა სამეფო კარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ღირსეული ყოფილიყო. ის შესანიშნავი ჯვრით, ზარებით, ჭაღით, ბრეგით შევამკეთ და, ვგონებ, მიზანს მივაღწიეთ. თითქმის 41 წელზე მეტია, ეს მშვენიერი ეკლესია წარმატებით ფუნქციონირებს და ძველი თბილისის მრევლს ემსახურება.

მარგველაშვილების ოჯახი პატრიარქთან

ეს იყო ჩვენი მადლიერება ილია მეორის მიმართ, რომელიც თავისი უდიდესი ღვაწლის გამო ქართველმა ხალხმა ლამის სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხა...

გავიდა წლები. ერთხელ ცოლ-შვილით მთელი კახეთი მოვიარე: თელავი, წინანდალი, გრემი, იყალთო, ნეკრესი... ალავერდში ყოფნისას სანთლები დავანთეთ, ტაძარს გარშემო შემოვუარეთ და, წამოსვლას რომ ვაპირებდით, ჩემი ძველი ნაცნობი, უკვე ალავერდის მოძღვარი იოაკიმე მოგვიახლოვდა. გამომეცნაურა, ძველად გაწეული არაერთი დახმარებისთვის მადლობა გადამიხადა, გულთბილად დაგვლოცა, მანქანამდე მიგვაცილა და სიყვარულით გამოგვემშვიდობა...

* * *

გედმა უწმინდესთან კიდევ შემახვედრა. ერთხელ, პარიზში, იუნესკოს შტაბ-ბინაში მივლინებით გახლდით. მთხოვეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევა გვსურს, დაგვეხმარეთ, მოსაწვევს გაგატანთ, რომ გადასცეთო.

სიამოვნებით დავთანხმდი. როგორც კი თბილისში დავბრუნდი, მთავრობის ტელეფონით მაშინვე დავუკავშირდი პატრიარქს.

უწმინდესი იუნესკოში მიწვევამ გაახარა, მაგრამ ჩემმა სიურპრიზმა აღაფრთოვანა: პარიზიდან ჩამოვიტანე ქართველ ემიგრანტთა ლევილის სასაფლაოზე დაკრძალულთა ნუსხა და ფოტომასალა.

საპატრიარქოში თან მახლდა იუნესკოს თანამშრომელი, ჩემი ძველი მეგობარი ავთანდილ ქორიძე, რომელმაც ამ ორგანიზაციაში თვრამეტი წელიწადი წარმატებით იღვაწა. მაშინ ლევილის სასაფლაო მასთან და მის შესანიშნავ მეუღლესთან – მანანასთან ერთად მოვინახულე, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ ქართველთა საფლავების აღწერაში. შევხვდით უკვე ხანდაზმულ ქართველ ემიგრანტებს. ჩემდა გასაოცრად, ისინი ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების გამო. სამწუხაროდ, ეს წმინდა ქართული ხასიათისა და ბუნების გამოვლენა გახლდათ!

პატრიარქს იქვე ვუჩვენეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ნოე ჟორდანიას საფლავებზე გადაღებული სურათები. ყველაფერ ამას ცოტა ხნით თუ დამიტოვებთო, მკითხა. ცოტა ხნით კი არა, საჩუქრად მოგართმევთ-მეთქი. ძალიან გაიხარა.

ამ შეხვედრას გაგრძელებაც მოჰყვა.

გახსოვთ, ალბათ, მთელ საქართველოში სუფევდა აზრი, თითქოს ნოე ჟორდანიას საფლავზე ამოტვიფრული იყო მისივე ლექსი – „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო, თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!“ ეს პოეტური სტრიქონები მეხსიერებაში მქონდა აღბეჭდილი: მახსოვს, ჩვენს ოჯახში შეკრებილი მამას მეგობრები, როცა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს სადღეგრძელოს სვამდნენ, მთელი პათოსით კითხულობდნენ ამ ლექსს. სხვათა შორის, ეს სტრიქონები ნოე ჟორდანიას არ ეკუთვნის: მისი ავტორი მაშინ ემიგრაციაში მყოფი პოეტი, პუბლიცისტი და მხატვარ-კარიკატურისტი სიმონ ბერეჟიანია (თაყაიშვილი, ბერგერი), რომლის საფლავი, სამწუხაროდ, დაკარგულია.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ჟორდანიას საფლავის ქვაზე ეს პათეტიკური ლექსი ვერ ამოვიკითხე! აი, რას იუწყებოდნენ ქართული და ფრანგული წარწერები: „ნოე ჟორდანია. საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მისი მეთაურობით აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ“.

მეგონა, მაშინდელი ვიზიტით ამოიწურა ჩვენი ურთიერთობა. მაგრამ, საბედნიეროდ, თურმე ვცდებოდი: კიდევ ერთხელ გამიხსენა უწმინდესმა და უნეტარესმა. მიმიწვია და დაუყოვნებლივ ვეახლე.

პატრიარქი ახლაც ჩვეული სითბოთი და სიყვარულით შემხვდა. იმან, რაც მან მაშინ მითხრა, აღმაფრთოვანა.

– ლევილში ეკლესიის აშენება მინდა. პროექტის ავტორიც შერჩეული მყავს – პარიზელი ქართველი, აღიარებული არქიტექტორი ალექსი კობახიძე. მართალია, ის პარიზშია დაბადებული, გაზრდილი და ქართული არ იცის, მაგრამ მკერდში ქართველი პატრიოტის გული უძგერს... რას მეტყვით, დახმარება რომ გთხოვოთ? – მკითხა და ღვთაებრივი თვალები მომაპყრო.

– თუ იქაური ქართველი ამ დიდებული საქმის შემწეობისთვის მზად არის, ომარ მარგველაშვილს რა ღმერთი უნდა გაუწყრეს, – ჩავალ პარიზშიც და ლევილშიც კობახიძესთან (რომელსაც მე ახლოს ვიცნობდი) და ჩემს მეგობარ გოჩა ჩოგოვაძესთან (ჩვენი ელჩი საფრანგეთში), გავარკვევ ყველაფერს და მოგახსენებთ.

ჩემი პასუხი უწმინდესსა და უნეტარესს ფრიად ეამა – თქვენგან სხვა პასუხს არც ველოდიო, ბრძანა...

სამწუხაროდ, ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა: ადგილობრივ მუნიციპალიტეტშიც ვიყავით სამივე, მაგრამ ლევილის მიწა მაშინ საფრანგეთის მფლობელობაში იყო და უარით გამოგვისტუმრეს... არადა, როგორ მოუხდებოდა ულამაზეს ყვავილნარში ჩაფლულ ლევილის ემიგრანტ ქართველთა სასაფლაოს ეკლესია...

პატრიარქის სიბრძნის სკივრიდან:

ყოველი წამი დააფასეთ!
ადამიანის სიდიადე მის თავმდაბლობაშია!
სიყვარული არის ყველაზე დიდი ძალა ქვეყანაზე!
თუ გინდა იყო ბედნიერი, ისწავლე მადლიერება!
სიყვარული არის ღმერთი და ღმერთი არის სიყვარული!
ჭეშმარიტ ქრისტიანს პატიების გრძნობა უნდა ჰქონდეს!

ახლა კი, ლევილის მიწა, ქალბატონ თეა წულუკიანის დიდი ძალისხმევით, ჩვენს საკუთრებაშია... იმედია, უახლოეს მომავალში ქართველთა ფრანგულ მამულში პატარა ღვთის სახლიც აშენდება.

* * *

ამ უაღრესად რთულ ვითარებაში ხშირად გაისმოდა ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გრძნული და იმედიანი შეგონებანი... მართლაც გედნიერია ქართველი ერი, ასეთი დირსეული პიროვნება რომ ჰყავდა სულიერ წინამძღვრად. სწორედ უწმინდესი და უნეტარესი იყო ერთადერთი უზენაესი გონება და სიწმინდე ტანჯული საქართველოსი.

საგულისხმოა, რომ უკიდურესი ფიზიკური და სულიერი ძნელგედოგის ჟამს, საქართველოს უფალი მოუვლენდა ხოლმე ზნეობრივ გმირებს: ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი გრწყინვალეს, ქეთევან წამებულს, ერეკლე II-ს, ილია ჭავჭავაძეს... წმინდა საეკლესიო მოღვაწეთაგან - გრიგოლ ხანძთელს, პატრიარქ კირიონს, პატრიარქ კალისტრატეს... ისინი გადაგვარება-გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ ქართველ ერს ჭეშმარიტ მხსნელებად ეცხადებოდნენ.

სწორედ დიდმა ილიამ დაუდო სათავე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ქართველმა ერმა უპირველესად სწორედ მასთან გააიგივა ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის იდეა... სწორედ ამიტომ უწოდა ერმა „ქვათა ღაღადის“ ავტორს საქართველოს უგვირგვინო მეფე!

გასული საუკუნის დასაწყისსაც დიდი ილიას ტვიფარი აზის, მაგრამ მაშინდელმა ქართველმა ლიბერალ-კოსმოპოლიტებმა არ აპატიეს ერის სულიერი მამობა და წიწამურში აღასრულეს საუკუნის შემზარავი დანაშაული. მიუხედავად ამგვარი მუხანათობისა, ილიას ერი მაინც ვერ გადაგვაჯიშეს. ქართველებმა ბოლშევიკების უღმერთო შემოტევასაც გაუძლეს.

სრულიად ანალოგიური იყო ფუნქცია და როლი ჩვენი პატრიარქისა... ერის სულიერი და ფიზიკური ხსნის იდეა სწორედ მისგან წარმოსდინდება და მისი ღვთაებრივი ქადაგებებით ავლენს თავს...

სრულიად აშკარად ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს მასირებული შეტევა ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებზე, ეროვნულ ტრადიციებსა და ოჯახზე.

უნდა ვაღიაროთ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ მაშინ, როდესაც ცხოვრების ასპარეზზე ჩემი და წინა თაობა გამოვიდა, ორთოდოქსი კომუნისტები თითქმის აღარ იყვნენ და კიდევ თუ სადმე შემორჩნენ, ამინდს ვეღარ ქმნიდნენ. ამიტომ, ფიზიკური გადაშენების, მით უმეტეს, ზნეობრივი გადაგვარების საფრთხე აღარც კი გვემუქრებოდა ქართველებს. მაშინდელი საქართველოს ყველა დონის პარტიული ხელმძღვანელების ამსოლუტური უმრავლესობა საქვეყნო, ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა! მათ შორის, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, მეც გახლდით... პარტიული მუშაკი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი აგური მეც დამიდია სამშობლოს აღმშენებლობაში... არადა, აღმშენებლობა მაშინ იყო, თუ იყო. მთელი საქართველო სამშენებლო პოლიგონს მოგაგონებდათ.

უნდა გვახსოვდეს: ხელაღებით წარსულის უარყოფა მომავალს სასიკეთოდ არ წაადგება!

თუმცა, ამ ყველაფერს, სისხლსავსე საზოგადოებრივ ასპარეზს თითქოს რაღაც აკლდაო და ეს რაღაც, როგორც აღმოჩნდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყო! იმ დროს ხალხში (მათ შორის, უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობაშიც) იყო ღმერთის რწმენა – ეკლესიებშიც დავდიოდით, სანთლებსაც ვანთებდით, ვლოცულობდით, შვილებსაც ვნათლავდით, წითელ კვერცხებსაც ვაგორებდით საფლავებზე, სააღდგომოდ ოჯახებში პასკებსაც ვაცხობდით, მაგრამ ეს ზედმეტი აფიშირების გარეშე კეთდებოდა.

საპრალური მნიშვნელობისაა ჩვენი ერისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი – ანუ დღე, როდესაც, უფლის ნებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეუფო ტახტზე ილია II კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრდა და დაიწყო მართლმადიდებლობის გაძლიერება-აღორძინების სრულიად ახალი ერა – ერა, რომელსაც ერთნაირი თაყვანისცემით ერიცა და გერიც აშენებდა! საქართველოს მთელ მიწა-წყალს მოეფინა ახალი ეკლესია-მონასტრები!

მას შემდეგ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სიბრძნით **იმართებოდა** ჩვენი 2000-წლოვანი ეკლესია და არა მარტო ის, რადგან ილია II-ის ავტორიტეტი იმდენად აღმატებული და შეუვალი **იყო,** რომ დიდ გავლენას **ახდენდა** საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის, ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე. ამ ხნის მანძილზე **იცვლებოდნენ** საერო ხელისუფლებანი... არ იცვლებოდა და კიდევ უფრო **მაღლდებოდა** სახელი და ღირსება ქართული ეკლესიისა.

გასული საუკუნის 9 აპრილიდან მოყოლებული (როდესაც ყურად არ ვიღეთ პატრიარქის შეგონება), რა არ გადავიტანეთ, „წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავს“, თორემ სამოქალაქო ომებიდან დაწყებული, ვიდრე 2008 წლის ომამდე, ყველა „სიკეთე“ ვიწვნიეთ. გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ არა ილია II, რა მძიმე შედეგებს მივიღებდით ყველა თავსდამტყდარი განსაცდელიდან...

საარაკოა უწმინდესის როლი აგვისტოს ომის ტრაგიკული მოვლენების ჟამს... როდესაც ომის გამჩაღებელი ბოროტმოქმედი სააკაშვილი რუსთაველზე რუსეთზე გამარჯვებას ზეიმობდა, მაშინ ჩვენი მხცოვანი პატრიარქი ოკუპირებული მიწა-წყლიდან დაღუპული მეომრების უპატრონოდ მიტოვებული გვამების გადმოსვენებისთვის იღვწოდა.

ალბათ, არის რაღაც ღვთაებრივი იმაში, რომ მისი უწმინდესობის წინაშე „გამარჯვებული“ რუსი ჯარისკაცებიც კი მუხლებზე ეცემოდნენ და დაკარგულ საკუთარ ადამიანობას წამიერად მაინც უბრუნდებოდნენ.

მრავლისმეტყველი იყო იმავე წლის ბოლოს პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში, რასაც პერევიდან ჯარის გამოყვანა მოჰყვა...

მისივე თქმით, აფხაზეთიცა და ცხინვალიც საქართველოს ორგანული ნაწილია და ისინი კვლავ დაუბრუნდებიან დედასამშობლოს... და რომ მის დანაღვრებას არ დაუშვებს ღვთისმშობელი – ჩვენი ერის ზეციური მფარველი და სასოებაა!..

მისი უწმინდესობა ილია მეორე – მართლაც მეორე **ილია იყო!** ამიტომაც არ **ეშვებოდა** რუსეთისკენ სავალ გზებს, რადგანაც ამ ღვთიურ ბრძენკაცს კარგად **მოეხსენებოდა,** რომ საქართველოს ხვალინდელი დღე მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირისკენ ლტოლვაში კი არა, არამედ რუსეთთან კეთილმეზობლობაზეც გადის. უპრეცედენტო **იყო** საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გავლენა... აშშ-ის გამოკვლევების თანახმად, მისი რეიტინგი 94%-ზე დაბლა არ ჩამოსულა.

პატრიარქი საოცარი ტაქტითა და ქრისტიანული ზნეობრივი კანონებით **უპირისპირდებოდა** იმ უზნეობის გამოვლინებებს და უხამსობათა იმ ნაკადს, რაც, სამწუხაროდ, „ცივილიზებული დასავლეთიდან“ მოედინება და ანადგურებს ადამიანის სულიერ საფუძვლებს... მისთვის რუს-ქართველთა ერთმორწმუნეობა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანი **იყო,** ვიდრე 200 წლის წინ, ამიტომაც ამშვენებდა ალბათ მის საბრძანებელს ერეკლე II-ის სურათი...

* * *

1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის თავდაუზოგავი ძალისხმევით აღდგა საქართველოს საამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია.

რელიგია მრავალია, რწმენა კი ერთი. რელიგია მსოფლიო კულტურის მონაპოვარია და მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ქრისტიანობა რელიგიურ კულტურათა გვირგვინია – იგი პროგრესული რელიგიაა. ქრისტიანობა იშვიათი ჭეშმარიტებაა.

უწმინდესი და უნეტარესი სრულიად უნიკალური პიროვნება გახლდათ. ყოველთვის დინჯი, გულითადი და კეთილი, დარბაისელი, ბუნებრივი, უშუალო, ამაღლებული და სხივმოსილი, უბადლო ერუდიტი და ინტელექტუალი, მრავალი ნიჭით უხვად დაჯილდოებული – მეცნიერი, მკვლევარი, მოაზროვნე, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი, დიპლომატი, ბრწყინვალე მქადაგებელი და თეოლოგიის დოქტორი.

ის გახლდათ ყოველთა ქართველთა სულიერი მოძღვარი და ქვეყნის ეროვნული ერთიანობის ჭეშმარიტი სიმბოლო. ჩვენმა ბრძენმა და შორსმჭვრეტელმა პატრიარქმა ღირსეული პიროვნება შეარჩია თანამოსაყდრედ – მეუფე შიო (მუჯირი). წარმატებები ვუსურვოთ ამ კეთილგონიერ ადამიანს.

დაბოლოს, თავს უფლებას მივცემ, დიდებული მურმან ლებანიძის ღრმააზროვანი ლირიკული მონოლოგით დავამთავრო უწმინდესისადმი მიძღვნილი ნარკვევი:

„მკითხე და გეტყვი,
რისი თამარი!
ქართლის ცხოვრების
რა ვიცი მეტი!
დავითი იყო ჩვენთვის მთავარი!
დავითი იყო... პირველი სვეტი!
მკითხე და გეტყვი,
რის ვაჟა, მენდე,
ერის მეობით და თავის მეთი,
არც თვითონ შოთა!
დავითის შემდეგ
ილია იყო... მეორე სვეტი!
გაზნექილია ქარში ალვის ხე,
აწეწილია სამშობლოს ხედი...
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე
მესამე სვეტი!“

იქნებ სწორედ ჩვენი სათაყვანებელი უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი იყო ქართველთათვის ნანატრი „მესამე სვეტი?!“

ეს ის საკრალური კითხვაა, რომლის პასუხი ცხადზე უცხადესია ყოველი ქართველისთვის!..

* * *

25 წლის წინ, ჩემი ორი წლის შვილიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, აუცილებელი გახდა საფრანგეთში სამკურნალოდ გამგზავრება, ვინაიდან აქ საჭვო დიაგნოზი დაუსვეს. პარიზში გაფრენის წინა დღეს მთელი ოჯახი პატრიარქთან მივედით. მან ნატალი კალთაში ჩაისვა, მოეფერა, დალოცა, სახელი ჰკითხა, გაიღიმა და გახარებულმა საოცრება გვამცნო:

– მე ყოველდღე ვილოცებ ნატალისთვის, ვინაიდან დედაჩემსაც ნატალია ერქვა და მისთვის ყოველდღე ვლოცულობ. ნუ გეშინიათ, ბავშვი კარგად იქნება. ის სრულიად ჯანმრთელია. თქვენ პარიზიდან გახარებულები დაბრუნდებით.

პარიზში ჩემი დიდი ხნის მეგობარი, არაჩვეულებრივი პიროვნება და მკურნალი შალვა ჭოველიძე მუშაობდა ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში, რომელმაც ბავშვი საუკეთესო სპეციალისტთან მიმაყვანინა. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ ჩემს შვილიშვილს საგანგაშო არაფერი სჭირდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უკიდეგანო იყო ჩვენი ბედნიერება...

ჭეშმარიტად აღსრულდა უწმინდესისა და უნეტარესის წინასწარმეტყველება. ბავშვს არავითარი მკურნალობა არ დასჭირდა, ის სრულიად ჯანმრთელი იყო. გავიხარეთ. სიხარულით ცას ვეწიეთ...

ომარ მარგველაშვილი,
23 მარტი, 2026 წელი

მერაბ კოკოჩაშვილი:

ქართველმა ხალხმა ამ ოთხი დღის განმავლობაში გამოავლინა ყველაფერი, რაც ქრისტიანულ საფუძვლებთან არის დაკავშირებული!

საოცარი დღეები იყო, საზოგადოებამ საოცარი ეროვნული სიყვარულის შეგრძნება დაგადა და მიჩნდება სრული რწმენა, რომ ეს მხოლოდ სამძიმარი არ არის, ის რაღაც ახალს, ძალიან ძლიერს, განსხვავებულს, სიკეთითა და სიყვარულით სავსეს შობს, – ამის შესახებ ცნობილმა რეჟისორმა, საქართველოს სახალხო არტისტმა **მერაბ კოკოჩაშვილმა** საქართველოს პირველი არხის სპეციალურ ეთერში განაცხადა.

„სიკეთის, ურთიერთგაგების, ურთიერთპატივების, ურთიერთსიყვარულისა და ეროვნულობის მომენტი იმდენად ძლიერია, ეს ყველაფერი ჩვენმა საზოგადოებამ ისე გააკეთა, ამას უნდა მოჰყვეს პირდაპირი რეაქცია იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ავირჩიეთ ხელმძღვანელობად, ასევე მათგან, ვინც ოპოზიციაშია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დაპირისპირების ნაცვლად, ურთიერთობა უნდა გადავიდეს ინტელექტუალურ და სულიერ დონეზე“, – განაცხადა **მერაბ კოკოჩაშვილმა.**

როგორც მერაბ კოკოჩაშვილმა აღნიშნა, მეორე მხრივ, ქართველმა ხალხმა ამ ოთხი დღის განმავლობაში გამოავლინა, რას ნიშნავს მისთვის სიყვარული, პატივისცემა და სიკეთე ერთმანეთის მიმართ; გამოავლინა ყველაფერი ის, რაც ქრისტიანულ საფუძვლებთან არის დაკავშირებული და, რაზეც ხალხი გაიზარდა.

„ამას არა მხოლოდ ჩვენ ვხედავთ, არამედ ხედავს ყველა, მათ შორის ისინიც, ვინც ეს უნდა დაინახონ. ის დამოკიდებულება, რომელიც გარკვეულ უცხოურ ძალებს საქართველოს მიმართ აქვთ, რომ ჩვენ ეროვნული ინტერესების დასაცავად ყველაფერზე მივდივართ. პატრიარქის გარდაცვალებამ მათაც უნდა გააგებინოს, ვინ ვართ ჩვენ, რა გვიყვარს და რა არის ჩვენთვის ყველაზე მთავარი. ეს ყველაფერი ჩვენ დავინახეთ ამ ოთხი დღის განმავლობაში იმით, რაც ქართველმა ხალხმა აჩვენა და უღრმესი მადლობა ამისთვის უწმინდესს“!..

შემცირების ნაცვლად შესაძლოა, საქართველოში პროდუქტების გაძვირება დაიწყოს!

მსოფლიოში ნავთობის ფასების მაღალ ნიშნულზე შენარჩუნების შემთხვევაში, პროდუქციისა თუ მომსახურების გაძვირება ძალიან რეალური ხდება. ბიზნესი უკვე პროდუქტების გაძვირებაზეც საუბრობს, რომლის გაიაფებასთან დაკავშირებითაც პარლამენტში ფასების შემსწავლელი კომისია მუშაობს. ჯერჯერობით, საცალო ქსელში არაფერი შეცვლილა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ სხვა რეალობა იქნება. ყველაფერი ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებაზეა დამოკიდებული.

დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციაში აცხადებენ, რომ თუკი ნავთობის ფასი ომამდე არსებულ ნიშნულს არ დაუბრუნდა, ეს პროდუქტის ფასზე აისახება. ასოციაციის თავმჯდომარემ, ლაშა რიჟამაძემ დროც დაასახელა – დაახლოებით, 1-1.5 თვე.

„საწვავის გაძვირებას თან ახლავს საერთაშორისო გადაზიდვების გაძვირებაც, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ტვირთმრუნვა უკვე პრობლემურია. საწვავის ფასის ზრდასთან ერთად მატულობს შიდა ლოჯისტიკური მომსახურების ხარჯიც, რომელიც კომპანიებს პროდუქციის განაწილებისთვის სჭირდებათ.

ამ ეტაპზე, ხარჯების ზრდის მიუხედავად, საბოლოო ფასებში ეს ცვლილება სრულად ასახული არ არის. თუ პროცესი მოკლევადიანი იქნება, კომპანიები შეეცდებიან ფასი მინიმალურად გაზარდონ ან საერთოდ არ ასახონ ეს ცვლილება მომხმარებელზე. თუ ტენდენცია გაგრძელდა და პროგრესირებადი გახდა, საბოლოოდ პროდუქციის ღირებულებაზე ეს აუცილებლად აისახება.

ზეწოლას სამი ძირითადი კომპონენტი ქმნის: საერთაშორისო მომწოდებელთან პროდუქციის გაძვირება, საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯის ზრდა და შიდა ლოჯისტიკური ხარჯების მატება. შესაბამისად, თუ ბაზარზე დასტაბილურება არ დაიწყება, შესაძლებელია, რომ საბოლოო პროდუქტებზე ფასების ზრდა 1–1.5 თვის შუალედში ეტაპობრივად აისახოს“, – განაცხადა **რიჟამაძემ.**

ეს ყველაფერი იმპორტირებულ პროდუქციას ეხება, მაგრამ კარგი მდგომარეობა არც ადგილობრივი პროდუქციის ირგვლივ ტრიალებს. მაგალითად, ირკვევა, რომ საქართველოში ხორცის გაძვირებაა მოსალოდნელი. როგორც კომპანია „აგროქიზიყის“ დამფუძნებელმა გადაცემა „საქმის კურსში“ განაცხადა, მსოფლიოში მსხვილფეხა პირუტყვზე დეფიციტია, ამასთან, რუსეთსა და ბელარუსში ფასი მკვეთრად გაზრდილია, საქართველოში კი ნედლი ხორცი, ძირითადად, ამ ბაზრებიდან შემოდის. **ბექა ბონაშვილის** თქმით, ამ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე ხორცის საბითუმო ჩასაბარებელი ფასი 24-25 ლარის ფარგლებში მერყეობს, რაც მოსალოდნელია, რომ მინიმუმ 26-27 ლარამდე გაიზრდება.

„აგროქიზიყის“ დამფუძნებელი ამბობს, რომ ხორცის გაძვირება, შესაძლოა, დროში მცირედით გადაავადოს იმ გარემოებამ, რომ ირანში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, ამ ეტაპზე, საქართველოდან რიგ ქვეყნებში, მათ შორის ერაყში, მსხვილფეხა ცხოველების ექსპორტი შეფერხებულია.

„მსოფლიო ბაზარზე დეფიციტია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე. რუსეთში ფასები საკმაოდ მომატებულია, უზბეკეთი დიდი შემსყიდველია და იქაც ასწიეს ფასი. ევროპაში დაახლოებით 30%-ით არის გაძვირებული. შესაბამისად, ჩემი მოლოდინია, რომ საქართველოშიც ფასი ხორცზე აუცილებლად მოიმატებს. ამას შეიძლება ცოტა ხანი ხელი შეუშალოს იმან, რაც ახლა ირანის მიმართულებით ხდება. საქართველოდან ირანის გავლით ერაყში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გადიოდა ექსპორტზე, რაც ახლა შეწყვეტილია. მაინც ვფიქრობ, რომ ივლისაგვისტოში ფასი ისევ მოიმატებს. დღეს თბილისში ფერმერის მიერ საქონლის ჩასაბარებელი საბითუმო ფასი არის დაახლოებით 24 ლარის ფარგლებში, ზოგ კატეგორიაზე 25 ლარამდეც. ეს ფასი, ალბათ, ზაფხულში 26-27 ლარი გახდება“, – განაცხადა **ბონაშვილმა.**

ყველაფერი მაინც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებას და ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვას უკავშირდება. ნავთობის ფასი არათუ იკლებს, არამედ ზრდას აგრძელებს და 110 დოლარს გადასცდა. ბოლო ერთ თვეში, ნედლი ნავთობი 50%-ითაა გაძვირებული. ბენზინზე მეტად მსოფლიოში დიზელის საწვავი ძვირდება.

ბექა დანელია

რა საფრთხის წინაშე დგას საზოგადოებრივი ჯანმრთელობა?

საქართველო, რომელიც ბოლო ათწლეულში თამბაქოს კონტროლის მიმართულებით რეგიონულ ლიდერად და ისტორიული პროგრესის მქონე ქვეყნად ჩამოყალიბდა, კრიტიკული გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყანაში მწეველთა რაოდენობა 100,000-ზე მეტით შემცირდა, საერთაშორისო დონორების, მათ შორის, გლობალური ფონდის ქვეყნიდან გასვლა და შიდა რესურსების კლება მიღწეულ შედეგებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის, – ამის შესახებ ნათქვამია **„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“** მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ალიანსის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ბოლო მონაცემებით, თამბაქოს მოხმარება საქართველოში, ბოლო ათწლეულში 9%-ით შემცირდა, რითაც ათასობით სიცოცხლის გადარჩენასთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტში ათეულობით მილიონი ლარი დაიზოგა. თუმცა, პროგრესის ფონზე საგანგაშოა ახალი ტენდენციები: მწეველობის გავრცელება კვლავ მაღალია (24.8%), ხოლო მოზარდებში ელექტრონული სიგარეტებისა და გასახურებელი თამბაქოს მოხმარება გაორმაგდა ბოლო ხუთ წელიწადში და 14%-ს მიაღწია.

„განსაკუთრებით საყურადღებოა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მდგომარეობა. გლობალური ფონდის დაფინანსებით, 2018 წლიდან ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნულ ცენტრში მოწევის შეწყვეტის სერვისის კუთხით უმნიშვნელოვანესი პროგრამა ხორციელდებოდა. შედეგად, ამ ჯგუფში მწეველობა 2025 წელს, 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, 46%-დან 37%-მდე შემცირდა.

„გლობალური ფონდის ქვეყნიდან გასვლის გამო, ამ სერვისების მდგრადობის საკითხი სრულიად გაურკვეველია. ეს პირდაპირ საფრთხეს უქმნის ათასობით პაციენტის ჯანმრთელობას, რადგან ტუბერკულოზით დაავადებულთათვის მოწევის შეწყვეტის სერვისის მომავალი გაურკვეველია“ – აცხადებენ თამბაქოს კონტროლის ალიანსში.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფო რესურსების ოპტიმიზაცია ხშირად საპირისპირო შედეგს იძლევა. მიმდინარე წელს თამბაქოს კანონმდებლობის აღსრულების სამოქალაქო მონიტორინგის დაფინანსება 33%-ით შემცირდა. მაშინ, როცა მონიტორინგის დახმარებით ბიუჯეტში ყოველწლიურად 4-5 მილიონი ლარი შედის, მხოლოდ გასულ წელს, რეგულაციების (მათ შორის სტანდარტიზებული შეფუთვის) არაჯეროვანი აღსრულების გამო, ქვეყანამ 5 მილიონ ლარამდე დაკარგა.

პარალელურად, უკვე წელზე მეტია, ჩავარდნილია საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანიები, რასაც თამბაქოს ინდუსტრია ბავშვებისა და ახალგაზრდებისკენ მიმართული აგრესიული, უკანონო ინტერნეტ-რეკლამით პასუხობს.

მიუხედავად 2019 წელს დაწყებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, ჯანდაცვისა და ფინანსთა სამინისტროების უმოქმედობის გამო, მოწევის შეწყვეტის საშუალებები კვლავ დღგ-თი იბეგრება და ჯერაც არ შეუტანიათ ესენციური მედიკამენტების სიაში. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს მოწევისთვის თავის დანებების მსურველი მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას.

არსებული მიღწევების შესანარჩუნებლად და ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად, აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის მონიტორინგის გაძლიერება: სამოქალაქო მონიტორინგით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მოცვა შესაბამისი დაფინანსების უზრუნველყოფით;

2. საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანია: ელ. სიგარეტებისა და ახალი პროდუქტების მავნებლობის შესახებ ფართომასშტაბიანი კამპანიის დაწყება;

3.საგადასახადო ცვლილებები: ჯანდაცვისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ბრძანების დამტკიცებით მოწევის შეწყვეტის სამკურნალო საშუალებების იმპორტის დღგ-სგან დაუყოვნებლივ გათავისუფლება;

4. მედიკამენტების ხელმისაწვდომობა: მოწევის შეწყვეტის საშუალებების შეტანა ესენციური მედიკამენტების ჩამონათვალში;

5. ბიუჯეტი 2027: ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ტუბერკულოზით დაავადებულთათვის მოწევის შეწყვეტის სერვისების შესანარჩუნებლად შესაბამისი დაფინასებით უზრუნველყოფა.

საქართველოს აქვს უნიკალური გამოცდილება რეგიონში, თუმცა შიდა რესურსების შემცირება და დონორი ორგანიზაციების გასვლის შემდგომი გაურკვევლობა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მომავალს“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

აჭარამ ჩინეთში ონლაინ სარეკლამო კამპანია დაიწყო

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ჩინეთში ონლაინ სარეკლამო კამპანია დაიწყო, რომელიც სოციალურ ქსელებში აჭარის და ზოგადად საქართველოს ტურისტული პროდუქტების, მიმართულებების, ღირსშესანიშნაობებისა და გასტრონომიის შესახებ ცნობადობის ამაღლებასა და პოპულარიზაციას ითვალისწინებს.

სარეკლამო კამპანია პოპულარულ ჩინურ პლატფორმებზე Douyin, Red Note, WeChat და Weibo ბათუმის საპრომოციო გვერდის Visit Batumi-ს ანგარიშის შექმნას და აჭარის საპოპულარიზაციო აქტიურ სარეკლამო კამპანიას ითვალისწინებს.

კამპანიის ფარგლებში, ჩინური გვერდების მილიონობით მომხმარებელი გაეცნობა აჭარის სამთო-სათავგადასავლო, ეკოტურისტულ და საზღვაო ტურისტულ ადგილებს და წარმოდგენას შეიქმნის ბათუმის, როგორც ოთხივე სეზონზე მიმზიდველი ახალი ტურისტული მიმართულების შესახებ. აჭარის ონლაინ რეკლამა ჩინეთში 15 დეკემბრამდე გაგრძელდება.

სოციალურ პლატფორმებს, რომლებზეც აჭარის და ზოგადად, საქართველოს რეკლამა მიმდინარეობს, ჩინეთში ასეულობით მილიონი მომხმარებელი ჰყავს.

შარლ დე გოლი:

სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

გარდა ამისა, კომუნიკეში ხაზგასმული იყო, რომ პლანეტაზე მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება-განმტკიცებისთვის უნდა შეიქმნას საერთაშორისო ორგანიზაცია, რისთვისაც 25 აპრილს სან-ფრანცისკოში ჩატარდებოდა კონფერენცია ყველა იმ სახელმწიფოს მონაწილეობით, რომლებმაც ხელი ატლანტიკურ ქარტიას მოაწერეს და შემდეგ დუმბარტონ-ოქსში გამართულ კონფერენციაშიც* მონაწილეობდნენ. კომუნიკე ასევე შეიცავდა „დეკლარაციას ევროპის გათავისუფლების შესახებ“.

მასში ასევე მოცემული იყო პოლონეთის მომავალი საზღვრების კონტურებიც: აღმოსავლეთით ე.წ. **„კერზონის ხაზი“,** ხოლო ჩრდილოეთით და დასავლეთით „მისი ტერიტორია გაფართოვდება“. დაფიქსირდა, რომ პოლონეთს ეყოლება **„ეროვნული ერთიანობის მთავრობა“,** რომელიც ჩამოყალიბდება იმ დროებითი მთავრობის საფუძველზე, რომელიც ამჟამად ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებს, ანუ **„ლიუბლინის კომიტეტის“** საფუძველზე. იქვე ნათქვამი იყო, რომ მთავრობა გაფართოვდება მასში საზღვარგარეთ მოღვაწე დემოკრატიული ხელმძღვანელების ჩართვით, თუმცა არაფერი არ იყო ნათქვამი ლონდონში მყოფ ემიგრანტულ მთავრობაზე. ჩემთვის არავითარი ეჭვი არ არსებობდა, თუ როგორი ხელისუფლება ეყოლებოდა პოლონელ ხალხს (...). ამრიგად იოსებ სტალინმა მიიღო ყველაფერი, რაც მას სურდა აღმოსავლეთ ევროპაში. ამიტომაც გასაგებია, რომ ეს იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არ იქნა მიწვეული საფრანგეთი ამ გადაწყვეტილების შესამუშავებლად.

იმავე დღის განმავლობაში, როცა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების კომუნიკე გამოქვეყნდა, ელჩმა ჯეფერსონ კეფრომ, „დიდი სამეულის“ დავალებით, ორი შეტყობინება გადმომცა. პირველი ეხებოდა საფრანგეთის ოფიციალურ მიწვევას – **„დიდ სამეულთან“** ერთად მონაწილეობა მიეღო გერმანიასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. მეორეში გამოხატული იყო იმედი, რომ **„ევროპის გათავისუფლების დეკლარაციის“** განხილვის დროს საფრანგეთის არყოფნის მიუხედავად, პარიზი დათანხმდებოდა ვალდებულების აღებას ამ დოკუმენტის პირობების შესრულებისათვის, სამივე მოკავშირესთან ერთად.

გარდა ამისა, ჯეფერსონ კეფრომ ასევე გადმომცა მემორანდუმი აშშ-ის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის მხრიდან, **„დიდი სამეულის“** სახელით, რომლის ადრესატი მე ვიყავი. პრეზიდენტი სთხოვდა საფრანგეთს, რომ აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან, საბჭოთა კავშირთან და ჩინეთთან ერთად, მონაწილეობა მიეღო გაეროს შექმნასთან დაკავშირებულ კონფერენციაში, რომლის დროსაც საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო და განმტკიცებულიყო დუმბარტონ-ოქსში შემუშავებული პრინციპები, ახალი ორგანიზაციის ასამოქმედებლად.

მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი არ იყო მიწვეული ყირიმის კონფერენციაზე, მისი დასრულების შემდეგ **„დიდი სამეულის“** მიერ ჩვენსკენ გადმოდგმული ნაბიჯები უპატივცემლობად ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა. რასაკვირველია, კონფერენციაზე განხილული რიგი საკითხების მიმართ ჩვენ შეიძლება სხვა პოზიცია გვქონდა, მაგრამ ის, რომ მოკავშირეებმა საფრანგეთის ინტერესებს საბოლოოდ ანგარიში გაუწიეს, ჩვენ სრულიად გვაკმაყოფილებდა. აი, ასეთი აზრი გამიჩნდა 12 თებერვალს, როცა აშშ-ის ელჩმა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები გადმომცა.

მაგრამ მოულოდნელად დღის მეორე ნახევარში ჯეფერსონ კეფრომ ისევ მთხოვა აუდიენცია. მან მომიტანა პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის პირადი წერილი, რომელშიც აშშ-ის მეთაური ჩემთან შეხვედრის სურვილს გამოხატავდა. იგი თვითონ ასახელებდა სამიტის ადგილს – ქალაქ ალჟირს. თუ მე თანახმა ვიქნებოდი შეხვედრაზე, მაშინ იგი თარიღსაც შემითანხმებდა.

რუზველტის შეთავაზება უადგილოდ მომეჩვენა. შეხვედრა პრეზიდენტთან, რომელსაც იალტის კონფერენციაში ჩემი მონაწილეობა არ სურდა, ჩემთვის მიმზიდველი არ იყო. მით უმეტეს, რომ საფრანგეთს ეს შეხვედრა რაიმე პრაქტიკული უპირატესობას არ აძლევდა: კონფერენცია უკვე უკან იყო მოტოვებული და თუ მას შევხვდებოდი, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მე სამეულის მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას ვიწონებდი. მართლაცდა, თუ რუზველტს ჩემი ხილვა და ჩემთან შეხვედრა უნდოდა, რატომ არ მიმიწვია ყირიმში?

და საერთოდ, რა საფუძველზე მიწვევდა მე აშშ-ის პრეზიდენტი შეხვედრაზე იმ ქალაქში (ალჟირში), რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე* მდებარეობდა? სხვათა შორის, 1944 წლის ნოემბრის ბოლოს მე იგი პარიზში მივიწვიე, მაგრამ არ მოვიდა. თუმცა, მაშინ თუ არ მოვიდა, ახლა ხომ მაინც შეეძლო პარიზში მოსვლა, ალჟირის ნაცვლად? მახსოვს, რუზველტი არაბულ სახელმწიფოებში ვიზიტის დროს იქაურ ლიდერებს მათი ქვეყნების ნავსადგურში მდგარ ამერიკული სამხედრო ხომალდზე იღებდა (ანუ აშშ-ის ტერიტორიაზე), სირიისა და ლიბანის პრეზიდენტების ჩათვლით, რომლებიც იმ პერიოდში საფრანგეთის სამანდატო ქვეყნებს წარმოადგენდნენ. გამოდის, რომ ალჟირის ნავსადგურში ფრანკლინ რუზველტს ასეთნაირად სურს გენერალ შარლ დე გოლის მიღება? ჩემი აზრით, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ძალთა თანაფარდობა საფრანგეთსა და აშშ-ს შორის, პრეზიდენტის ასეთი ქცევა ყველა საზღვარს სცილდებოდა. ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტი და ღირსება ურყევი უნდა იყოს. მე პასუხისმგებელი ვიყავი საფრანგეთის სუვერენიტეტისა და ღირსების დაცვაზე.

მოვეთათბირე რა მინისტრთა კაბინეტის წევრებს, 13 თებერვალს აშშ-ის ელჩს შევატყობინე, რომ ჩემი სახელით გადასცეს თავისი ქვეყნის პრეზიდენტს შემდეგი:

ფრანკლინ დელანო რუზველტი და შარლ დე გოლი

„გენერალ დე გოლს ალჟირში ჩასვლა არ შეუძლია და აქედან გამომდინარე, მისი ალჟირში მიღება შეუძლებელია. საფრანგეთის მთავრობისათვის გასაგებია, რომ პრეზიდენტი რუზველტი პარიზში არ ჩამოვიდა, მაგრამ ფრანგები მაინც მოხარულნი იქნებიან იგი პარიზში მიიღონ ნებისმიერ დროს. თუ პრეზიდენტ რუზველტს ალჟირის მონახულება სურს, საფრანგეთის მთავრობა სთხოვს, რომ ამის თაობაზე წინასწარ გააფრთხილოს, რათა ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორს აუცილებელი ინსტრუქციები მიეცეს და აშშ-ის პრეზიდენტს შესაბამისი დონის მიღება მოუწყოს, სტუმრის ნება-სურვილის გათვალისწინებით“.

ამ შემთხვევამ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი უკიდურესად შეაშფოთა. ერთი მხრივ, მე მინდოდა, რომ ეს ფაქტი არ გაზვიადებულიყო, მაგრამ ამერიკული გაზეთები შეეცადნენ საკითხი ისე წარმოეჩინათ, თითქოსდა გენერალმა დე გოლმა აშშ-ის პრეზიდენტს შეურაცხყოფა განგებ, წინასწარგანზრახულად მიაყენა. ფრანკლინ რუზველტმაც თავისი იმედგაცრუება ღიად გამოხატა. იალტიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან გამოაქვეყნა კომუნიკე არშემდგარი შეხვედრის თაობაზე, რომელშიც მისი გაღიზიანება და დამცინავი ტონი ჩანდა. ხოლო თავის გამოსვლაში კონგრესის წინაშე, 3 მარტს, როცა იალტის კონფერენციის შედეგებზე საუბრობდა, მან ერთგვარი გამჭვირვალე მინიშნება გააკეთა ჩემს მიმართ და შემადარა **„რომელიღაც პრიმადონას, რომელმაც თავისი კინოვარსკვლავური კაპრიზის გამო სასარგებლო შეხვედრაზე უარი განაცხადა“.** ჩემი მხრიდან მე მხოლოდ პრესაში განმარტებით და ფაქტების გადმოცემით შემოვიფარგლე.

აშშ-ის პრეზიდენტის მწვავე გამოსვლები, ბუნებრივია, შეიძლებოდა მე შეურაცხყოფად აღმექვა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ასეთ გამოთქმებში, ალბათ, უფრო მისი ცუდი განწყობა გამოვლინდა, ვიდრე ღრმა გრძნობა, ჩემს წინააღმდეგ მომართული. მას რომ ცოტა დიდხანს კიდევ ეცოცხლა და გამარჯვების შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა მოგვცემოდა ერთმანეთისათვის სიტუაცია პირისპირ აგვეხსნა, დარწმუნებული ვარ, რომ ის გამიგებდა და მოიწონებდა ჩემს მოქმედებას იმ დროს, როცა მე საფრანგეთის მთავრობის მეთაური ვიყავი. მე რაც შემეხება, ვერანაირი ინციდენტი ვერ მაიძულებდა, მისი ხედვებისათვის პატივი არ მეცა, მისი დამსახურება და გაბედულება არ დამეფასებინა.

როცა 12 აპრილს ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალების ამბავი გავიგე, ძალიან დავმწუხრდი: სიკვდილმა მას არ დააცალა გიგანტური ამოცანის შესრულება იმ მომენტში, როცა პრეზიდენტს უკვე უნდა დაენახა თავისი ძალისხმევის ძლევამოსილი დასრულება... მე გულწრფელად გამოვხატე ჩემი წუხილი და აღტაცება მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

თუმცა საფრანგეთში ბევრმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ არ დააყოვნა არასასიამოვნო განცხადებების გაკეთება ჩემს მიმართ, რომ მე თითქოს ქედმაღლურად შევხვდი მის თხოვნას ალჟირში შეხვედრის თაობაზე. მე მათ ვერ დავეთანხმები. საკმაოდ ბევრმა პოლიტიკოსმა თავის პროფესიად გაიხადა ფრანკლინ რუზველტის გადაქცევა დემოკრატიისათვის მებრძოლ შეუმცდარ გმირად მსოფლიოში. ვფიქრობ, ასეთი პოლიტიკოსები შორს დგანან ეროვნული ღირსებისა და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისაგან, რომლებიც ჩემთვის მუდამ პრიორიტეტული იყო.

მათ განაცხადეს, რომ შოკირებულნი იყვნენ ჩემი ქცევით. კომუნისტებმა ჩემი გმობა და კრიტიკა დაიწყეს იმიტომ, რომ მე თითქოს ქედმაღლურად თავი შევიკავე ისეთ საკითხებში დათმობებისაგან, რომლებიც ფრანკლინ რუზველტმა იოსებ სტალინთან საუბრისას დათმო და რუსეთის ლიდერის წინადადებებს დაეთანხმა. ბევრი ბიზნესმენი (საქმიანი ადამიანი) შეშფოთებას გამოხატავდა, რომ ჩემი მოქმედებით აშშ-სთან ეკონომიკური ურთიერთობა შეიზღუდებოდა... ასეთმა ჯგუფებმა ჩემგან დისტანცირება დაიწყეს.

შესაბამისად, მე მომიწია იმ ფაქტის კონსტატირება, რომ ჩემს წარმოდგენებს საფრანგეთის უფლებებზე და ჩემი ქვეყნის რანგზე ბევრი არ ეთანხმებოდა, მათ შორის ისინიც, რომლებიც საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ახდენდნენ. ისე ჩანდა, რომ ეროვნული პატიოვმყვარეობის პოლიტიკის შესანარჩუნებლად ნაკლები იმედი უნდა მქონოდა როგორც საზოგადოების, ასევე მასმედიისა და პოლიტიკური ავტორიტეტების მხრიდან მხარდაჭერაზე. ვაღიარებ, რომ თავდაპირველად ძალიან განვიცდიდი უთანხმოების დაწყებას, რომლებიც უახლოეს მომავალში, გარკვეული გართულებების კვალობაზე, ჩემს ძალისხმევას საფრთხის ქვეშ დააყენებდა.

მაგრამ ის, რაც უკვე მიღწეული იყო, ძალაში რჩებოდა. ამიერიდან არანაირი გარეშე წინააღმდეგობა და ვერავითარი განხეთქილება ქვეყნის შიგნით ხელს ვერ შეუშლიდა საფრანგეთს მსოფლიო არენაზე თავისი რანგისა და როლის აღდგენაში. ბოლოს და ბოლოს, იალტის კონფერენციამ ეს თვითონაც დაადასტურა.

რამდენადაც ჩვენ გვთხოვეს დაუყონებლივ ვყოფილიყავით იმ არეოპაგის ერთ-ერთი წევრი, რომელიც **„დიდმა სამეულმა“** მტრების განსასჯელად და მშვიდობის დასამყარებლად შექმნა, ეს ნიშნავდა, რომ ჩვენ მიგვიჩნევდნენ ერთ-ერთ მთავარ მებრძოლ სახელმწიფოდ და მალე როგორც ერთ-ერთ მთავარ გამარჯვებულ ქვეყნადაც.

მსოფლიო პოლიტიკაში მალე არაფერი აღარ გაგვახსენებს არც დამარცხებული ხალხის მდგომარეობას, როგორშიც საფრანგეთი იმყოფებოდა, არც ვიშის რეჟიმის კანონიერებას, რომელსაც, სამწუხაროდ, ბევრი აღიარებდა. 1940 წლის 19 აგვისტოს გადადგმული ნაბიჯი – რადიოთი გამოსვლა და მოძრაობა **„მებრძოლი საფრანგეთის“** შექმნა გარანტირებული იყო საერთაშორისო სამართლით, უზრუნველყოფილი იყო იარაღის ძალით და ფრანგი ხალხის გმირული სულისადმი რწმენით.

ჩვენი მიზანი სწრაფად იქნა მიღწეული – იმიტომ, რომ ჩვენი მოქმედება შთაგონებული იყო იმ საფრანგეთით, რომელიც ყოველთვის საფრანგეთად დარჩება თავისი შვილებისა და მსოფლიოსათვის. აი, ეს იყო სწორედ უცილობელი ჭეშმარიტება, გადატანილი დანაკარგებისა და დემონსტრაციული არაღიარების მიუხედავად. როგორც ნათქვამია, წარმატება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ის ჭეშმარიტებას ეფუძნება.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

(გაგრძელება იქნება)

*** ალჟირს 1840 წლიდან 1962 წლამდე, სანამ დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, „საფრანგეთის ტერიტორიის“ სტატუსი ჰქონდა, „საფრანგეთის ალჟირის“ სახელწოდებით.**

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №26-32

გუშინ სიონის საპატრიარქო ტაძარში თბილისში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები მივიდნენ და კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხსოვნას პატივი მიაგეს.

პატივგება, კაშია, ლოჩოშვილი და...

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვილი სანიოლმა გურამ კაშიას** სანაკრებო კარიერის დასრულებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. ფრანგი სპეციალისტის თქმით, კაშია ქართული ფეხბურთისთვის მონუმენტური ფიგურაა.

„გურამ კაშია მონუმენტური ფიგურაა ქართული ფეხბურთისთვის. ზოგადად, ახალი კაპიტნის არჩევა იოლი გადაწყვეტილება არ არის, თუმცა ჯაბა კანკავას წასვლის შემდეგ, ჩემთვის ძალიან მარტივი გადასაწყვეტი იყო, თუ ვინ გახდებოდა ნაკრების ახალი კაპიტანი. გურამთან ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა. ძალიან ბევრი გვისაუბრია როგორც ფეხბურთზე, ისე ზოგადად ცხოვრებაზე. ჩემი სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლების სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო მას. ძალიან სასიამოვნო იყო გურამთან ერთად მუშაობა. როდესაც ცხოვრების ერთი ნაწილი სრულდება, აუცილებლად იწყება რაღაც ახალი. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს მომავალში“, – განაცხადა სანიოლმა.

გურამ კაშიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 17-წლიან სანაკრებო კარიერას ასრულებს. ის ნაკრების მაისურით ბოლო მატჩს 2 ივნისს რუმინეთთან ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მარტის სანაკრებო პაუზის ფარგლებში, 26 მარტს, თბილისში, ისრაელს დაუპირისპირდება, ხოლო 29 მარტს ლიეტუვის წინააღმდეგ კაუნასში ითამაშებს.

* * *

„ნიურნბერგის“ მცველმა **ლუკა ლოჩოშვილმა** გერმანიის II ბუნდესლიგის 27-ე ტურში „კაიზერსლაუტერნთან“ ორი გოლი გაიტანა, ხოლო მისმა გუნდმა 3:0 მოიგო. ქართველ ფეხბურთელს წარმატებული თამაში დაუფასა Kicker-მა და ლუკა 27-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

გარდა ამისა, ცნობილმა გამოცემა BILD-მა ლოჩოშვილს სტატია მიუძღვნა.

„ლოჩოშვილმა, რომელიც ცენტრალური მცველია, ორი გოლი გაიტანა, გერმანიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე მერგიმ მერიშა გააანეიტრალა და თავის გუნდს მოედანზე ყველგან დიდი ენერგია შესძინა. ლუკა „კაიზერსლაუტერნთან“ მოგებული მატჩის მთავარი გმირი იყო. მისი დაცვითი უნარების წყალობით ფრანკონიანებმა ნოემბრის შემდეგ პირველად შეინარჩუნეს კარი მშრალად“, – წერს გამოცემა.

ლუკა ლოჩოშვილის თამაში „ნიურნბერგის“ მთავარმა მწვრთნელმა **მიროსლავ კლოზემ** შეაფასა:

„ლოჩოშვილი საოცარი მოთამაშეა და როგორც მიწაზე, ისე ჰაერში საოცარი ტაიმინგი აქვს, ზუსტად არჩევს პოზიციებს. მიხარია, რომ კარიერა უკვე დასრულებული მაქვს, რადგან მის წინააღმდეგ თამაში არასდროს მომინდებოდა.

ლუკას გამო ძალიან მადნიერი ვარ, თუმცა როცა ის დრიბლინგს იწყებს, ხანდახან მირჩევნია, ბურთი თანაგუნდელს გადააწოდოს და თავის ადგილზე დარჩეს“, – განაცხადა კლოზემ.

ლოჩოშვილი ნიურნბერგში თავის მომავალს ღიად ტოვებს და დუბლის შემდეგ მან გადაჭრით არ უპასუხა შეკითხვას, დარჩება თუ არა გუნდში: **„არ ვიცი. მიყვარს გულშემატკივრები და ყველა, ვინც აქ მუშაობს, აქ მედნიერი ვარ. ორიენტირებული ვარ იმაზე, რომ სეზონის ბოლომდე ყველაფერი გავაკეთო კარგი შედეგის მისაღწევად“.**

კლოზემ ლუკას ამ კომენტარზე ასეთი განცხადება გააკეთა: **„ეს რომ მცოდნოდა, თამაშის შემდეგ სხვანაირად დავემშვიდობებოდი. რა თქმა უნდა, ამაზე მას ეროვნული ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ დაველაპარაკები“.**

ლოჩოშვილს II ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში 26 შეხვედრაში უკვე 4 გოლი აქვს გატანილი. მას საუკეთესო შეფასება ჰქონდა „კაიზერის“ წინააღმდეგ და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

„ნიურნბერგი“ 27 ტურის შემდეგ 36 ქულით მეცხრე საფეხურზეა, ხოლო მომდევნო ტურში 5 აპრილს „ბრაუნშვაიგს“ ესტუმრება. მანამდე ლოჩოშვილი საქართველოს ნაკრებში ისრაელისა და ლიეტუვას წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩებში მიიღებს მონაწილეობას.

გაზაფხული პრაღასაც უხდება

მილანი-კორტინას ისტორიული ოლიმპიადის შემდეგ ქართველი ფიგურისტები მორიგი წარმატების მოპოვებას პრაღაში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ცდილობენ, სადაც სრული შემადგენლობით ოთხივე დისციპლინაში ზუსტად იტალიური ყინულის მსგავსი ექვსეული ისრიალებს.

ბუნებრივია, თეთრი თამაშების ვერცხლის მედალოსანი **ბერულავა-მეტელკინას** წყვილისგან ამჯერად განსაკუთრებული, აქამდე არნახული ტიტულის მოხვეჭის მოლოდინი გვაქვს, მით უმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩეხეთში არ იასპარეზებს ძლევამოსილი იაპონური დუეტი **მიურა-კიხარა.**

ასევე ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი ევროპის როგორც მოქმედ **(ნიკა ეგაძე),** ისე ყოფილ **(ანასტასია გუბანოვა)** გვირგვინოსანთა მიმართ ერთეულთა თანრიგში და, ვიმედოვნებთ, **სმოლკინ-დევისის** მოცეკვავეთა ტანდემსაც შესწევს უნარი პრიზიორობისთვის ღირსეულად იბრძოლოს. მოკლედ, ტრიუმფალურ სეზონს ასეთივე ფინიში დაამშვენებს!

ჰაერშია მამუ!

NBA-ში მორიგი კარგი მატჩი ჩაატარა სანდრო მამუკელაშვილმა, ხოლო მისმა „ტორონტო რეპტორზმა“ სტუმრად “იუტა ჯაზი“ დამაჯერებლად 143:127 დაამარცხა.

მამუკელაშვილმა შეხვედრა ძირითად ხუთეულში დაიწყო და პარკეტზე 32 წუთი გაატარა. ხსენებულ დროში მან 23 ქულას, 4 მოხსნას, 2 შედეგიან გადაცემას, 5 ჩაჭრასა და 1 დაფარებას მოუყარა თავი. სანდრომ 8-დან 6 ორქულიანი, 6-დან 3 სამქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო სროლა ჩააგდო. ქართველმა სხვადასხვა სტატისტიკური ვეგ-გვერდებისგან 8.3 შეფასება დაიმსახურა და საკუთარი გუნდის შემადგენლობაში ბარეტთან ერთად საუკეთესო იყო.

რაც შეეხება თამაშს, „ტორონტომ“ თავიდანვე აქტიურად დაიწყო, პირველი სამი პერიოდი დამაჯერებლად მოიგო და საბოლოოდ ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. მატჩის MVP „იუტას“ 19 წლის კალათბურთელი **აირიუს ბაილი** გახდა, რომელმაც თამაში 37 ქულით დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ „ტორონტო“ 40 გამარჯვებითა და 31 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილს იკავებს, ხოლო მომდევნო მატჩს 26 მარტს „ლოს ანჯელეს კლიპერსთან“ გამართავს.

საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

საქართველოს რაგბის კავშირი ეხმაურება მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) და მსოფლიო რაგბის (World Rugby) მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც საფრანგეთში გამართულ 2023 წლის მამაკაცთა რაგბის მსოფლიო ჩემპიონატამდე პერიოდში, საქართველოს 15-კაცა ნაკრებში ანტისადოპინგო წესების დარღვევის რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ საკითხის სიმძიმეს. გულშემატკივრის მიერ დასმული კითხვების საპასუხოდ ვაცხადებთ, რომ აღნიშნულ საქმეში მონაწილეები 2023/24 წლების სეზონიდან აღარ თამაშობენ/მუშაობენ ეროვნულ ნაკრებში. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ არცერთი ნაკრების მოთამაშე და ქართველი მორაგბე ანტისადოპინგო წესების დარღვევაში შემჩნეული და დადანაშაულებული არ არის.

პროცესის დაწყების პირველივე დღიდან საქართველოს რაგბის კავშირი სრულად და გამჭვირვალედ თანამშრომლობს WADA-სთან და მსოფლიო რაგბისთან. მათგან მივიღეთ მკაცრი მითითება, რომ გამოძიების სრულყოფილად, მიუკერძოებლად და დადგენილი წესების დაცვით წარმართვისთვის, პროცესის დასრულებამდე თავი შევიკავოთ საჯარო კომენტარებისა და დეტალების გასაჯაროებისგან. სწორედ ამ პროტოკოლის დაცვით იყო განპირობებული ის, რომ აქამდე კომენტარი არ გაგვიკეთებია.

ვაცნობიერებთ, რომ აღნიშნული ფაქტები სერიოზულ დარტყმას აყენებს ქართული რაგბის რეპუტაციას. ჩვენი მხრიდან დაწყებულია ინტენსიური სამუშაო და გატარებულია მკაცრი ღონისძიებები მსგავსი შემთხვევების პრევენციისათვის. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ რაგბიში მსგავსი ინციდენტები აღარ მოხდეს.

დისციპლინარული საკითხების დასრულების შემდეგ გავმართავთ პრესკონფერენციას და ვუპასუხებთ მედიისა და საზოგადოების შეკითხვებს.

სურსათის ეროვნული სააგენტო ყალბისმქნელებს არ ინდობს!

სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის, იმერეთისა და აჭარის დეპარტამენტის ინსპექტორებმა, ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, სიღნაღში, ვანში, საჩხერესა და გათუმში რძის გადამუშავებელი არალეგალური საწარმოები გამოავლინეს, – ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

კახეთის დეპარტამენტის ინსპექტორებმა ინდივიდუალური მეწარმე ზ.თ.-ს (მის: ქ.სიღნაღი სოფ: ჯუგაანი) ყველის საწარმოში ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის შედეგად, როგორც კრიტიკული, ასევე არაკრიტიკული შეუსაბამობები აღმოაჩინეს. მიზნესოპერატორი საქმიანობდა სააგენტოსაგან მინიჭებული სავალდებულო აღიარების გარეშე და არ იყო რეგისტრირებული ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

ინდივიდუალური მეწარმე გ.მ. (მის: ვანი, სოფ. სალხინო) ყველის გადამუშავებას ეწეოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული სავალდებულო აღიარების გარეშე. ობიექტზე აღმოჩნდა ტექნოლოგიური პროცესის დარღვევით დამზადებული ყველი (სულგუნი) და ნადუღი. ამავდროულად, მზა სურსათი არ იყო ეტიკეტირებული.

კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა ფიზიკური პირი ა.ხ.-ს (მის: საჩხერე, სოფ ჯალაურთა) კუთვნილ არალეგალურ ყველის საწარმოშიც. მიზნესოპერატორი სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული სავალდებულო აღიარების გარეშე საქმიანობდა.

აჭარის დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ გამოვლინდა სავალდებულო აღიარების და ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე რძის შემცველი პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის ფაქტებიც. ფიზიკური პირი დ.ს. (მის: ქ. ბათუმი, ჩოლოყაშვილის ქ N89) ჰიგიენური ნორმებისა და შენახვის პირობების დარღვევით ახდენდა რძის შემცველი პროდუქტის შესყიდვა-რეალიზაციას. სავალდებულო აღიარების გარეშე საქმიანობდა შპს „გურიაც“ (მის: ქ. ბათუმი, კომახიძის 83ა). მიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და შეუჩერდათ საწარმოო პროცესი.

გამოუსწორებელ ხულიგანს, ლიაკას ხოშტარიას 1 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა!

სასამართლოს გადაწყვეტილებით, „დროას“ ლიდერს, ელენე ხოშტარიას 1 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი არევაძემ გამოაცხადა.

სამართალდამცველებმა ელენე ხოშტარია, კახა კალაძის საარჩევნო განერის დაზიანების ფაქტზე, გასული წლის 15 სექტემბერს დააკავეს. მას გრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნულ საქმეზე ხოშტარიას, აღკვეთის ღონისძიების სახით, 5 000 ლარის ოდენობით საპატიმრო გირაო ჰქონდა შეფარდებული, რომლის გადახდაზეც მან უარი განაცხადა, რის შემდეგაც პოლიტიკოსი დააკავეს.

სასტუმროს ნომერში გარდაცვლილ რუს გოგონაზე გამოძიება გრძელდება!

ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ მოიხმარეს – დილის საათებში კი თანმხლებმა მამაკაცმა ქალი გარდაცვლილ მდგომარეობაში აღმოაჩინა.

საქართველოში, თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში გარდაცვლილი რუსი ეროვნების გოგონას შესახებ ახალი დეტალები ხდება ცნობილი. როგორც ირკვევა, ახალგაზრდა ქალი საქართველოში, მიმდინარე წლის 16 მარტს ჩამოფრინდა, რის შემდეგაც დედაქალაქში მდებარე სასტუმროში დაბინავდა.

როგორც შსს-ში განაცხადეს, ა.კ.-ს თანმხლები პირის გადმოცემით, მან და ახალგაზრდა ქალმა, სასტუმროს ნომერში ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ მოიხმარეს, დილის საათებში კი მამაკაცმა ქალი გარდაცვლილ მდგომარეობაში აღმოაჩინა. გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასადგენად, გამოძიების ფარგლებში ყველა საჭირო ექსპერტიზაა დანიშნული.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის 2003 წელს დაბადებული ა.კ.-ს გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყეს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. ახალგაზრდა გოგონას გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია thevoicemag.ru-მ გააავრცელა. მათივე ცნობით, გოგონას მამამ თქვა, რომ ალინა საქართველოში ამ მოგზაურობას ცხოვრების ახალ ეტაპად მიიჩნევდა. „მას სურდა იქ ცოტა ხნით ცხოვრება და დისტანციურად მუშაობა. „მას მომავლის გეგმები ჰქონდა. ბედნიერი იყო რომ საქართველოში მიდიოდა“, – განაცხადა მამამ.

განცხადება

მიმდინარე წლის 16 აპრილს, 11:00 საათზე, ქ. თელავში ფირუზ მახათელაშვილის 15, დანიშნულია კოოპერატივი „რპ ალაზნის ველის“ წევრთა საერთო კრება.

საქართველოდან უცხო ქვეყნის 105 მოქალაქე გააძევეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან მჭიდრო კოორდინაციით გოლო დღეების განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად უცხო ქვეყნის 105 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს, – ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევებულ პირებს ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ.

„მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, ქვეყნიდან გაძევებულ იქნა თურქეთის, ინდოეთის, ჩინეთის, რუსეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, იორდანიის, მაროკოს, ბანგლადეშის, მიანმარის, მოლდოვის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, პაკისტანის, ბელორუსის, ეგვიპტის, ლიბანის, ნეპალის, სუდანისა და სხვა სახელმწიფოების, ჯამში, 105 მოქალაქე“.

მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებები ლონდონსა და პარიზში საქართველოს ტურისტულ მიმართულებას გაეცნენ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში საერთაშორისო სამოგზაურო მედია კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ლონდონსა და პარიზში გამართულ International Media Marketplace-ზე ბრიტანული, ფრანგული და ამერიკული მედიის წარმომადგენლები, PR-ის სპეციალისტები და ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები საქართველოს ტურისტულ მიმართულებას გაეცნენ. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო პრეზენტაცია საქართველოს შესახებ.

„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დაესწრო საერთაშორისო მედია კონფერენციებს, რომელიც ბრიტანეთსა და საფრანგეთში გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაზე ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, გაგვემართა შეხვედრები საერთაშორისო მედია პლატფორმებთან, როგორიც არის: BBC, CNN, Cond Nast Traveler, National Geographic და სხვა. როგორც იცით ჩვენ მათთან აქტიურად ვთანამშრომლობთ, მუდმივად მზადდება სტატიები და გადაცემები აღნიშნულ მედიებში. ჩვენთვის ევროპული ბაზარი, კონკრეტულად ბრიტანეთისა და საფრანგეთის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში. ვფიქრობთ, რომ წლევანდელი წელი ამ ქვეყნებიდან წარმატებული იქნება და საქართველოში მევრად მეტი მოგზაური შემოვა“, – განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **მაია ომიაძემ.**

International Media Marketplace მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სამოგზაურო მედია კონფერენციაა, ორივე ღონისძიებას 700-მდე ჟურნალისტი, ბლოგერი, ტურიზმისა და მარკეტინგის სფეროს წარმომადგენელი დაესწრო.

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ევროპისა და ამერიკის ბაზარზე საქართველოს ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს BBC Travel-ის, National Geographic Traveller-ის, The Guardian-ის, The Telegraph-ის, The Independent-ის, Daily Mail-ის, Conde Nast Traveller-ის, Le Figaro-ს, Voyage-ის, National Geographic France-ის, Le Monde-ის, Le Parisien-ის, GEO-ის, National Geographic Traveller France-ის, Condi Nast Traveller France-ის, და TourMaG-ის, TV5-ის, Lonley Planet-ის, Premium Magazine-ისა და სხვა მედია პლატფორმების ჟურნალისტებთან, მოგზაურ ავტორებთან და ბლოგერებთან.

„უკვე მე-14 წელია, რაც გაერთიანებულ სამეფოში „Travel Media“-ს საერთაშორისო მედია მარკეტინგის (IMM) ღონისძიებას ვმასპინძლობთ. ამ ფორუმს ვატარებთ სინგაპურში, სიდნეიში, ბერლინში, პარიზში, ასევე ლონდონსა და ნიუ-იორკში. კარგი იქნებოდა, ეს ღონისძიება საქართველოშიც რომ ჩაგვეტარებინა. საქართველო ამ გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მონაწილეა, რადგან ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, როდესაც ქვეყანა აქ ასეთი სახითაა წარმოდგენილი. თქვენ აქ არ გაქვთ მუდმივი ოფისები ან PR-წარმომადგენლობა, ამიტომ რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე უშუალოდ საქართველოდან ჩამოსულ ადამიანებთან საუბარი ქვეყნის შესახებ. ჩვენ ძალიან გვიხარია საქართველოს აქ ყოფნა და გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანა ბევრ დაინტერესებულ სტუმარს მიიზიდავს“,-ამბობს თრავმედია, International Media Marketplace (IMM), The Summit, TravTrade – დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი **ნიკ ვეილენდი.**

ღონისძიების მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოს ტურისტული მიმართულებების, კურორტების, გასტრონომიისა და სათავგადასავლო ტურისტული შესაძლებლობების შესახებ. **International Media Marketplace მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში 14 წელია იმართება.**

ვუილოცავთ!

გივი აბდუშელიშვილი



ცნობილ ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, დიპლომატს, ინჟინერს, 1991-92 წლებში საქართველოს მრეწველობის მინისტრს, მრავალი სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პუბლიცისტური სტატიების ავტორს, წლების განმავლობაში ახალგაზრდული და პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ ლიდერს, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, მატერიალური რესურსების სახელმწიფო კომიტეტის, სამრეწველო კოოპერაციის ხელმძღვანელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველს, პროფესორ გივი აბდუშელიშვილს დაბადებიდან 86 წელი შეუსრულდა.

გლოცავთ და ვაუკაცურად გეფერებით, ჩვენო გამორჩეულო მეგობარო. შენ ხომ კაცობის, ნაღდი მეგობრობის, ჭირთათმენის, თანადგომის, თავმდაბლობის, სამშობლოს სიყვარულის ეტალონი ხარ.

იცოცხლე დიდხანს, დიდებულო ფოთელო და ფოთელების საყვარელო კოლორიტო! გფარავდეს ღმერთი!

თბილისში მცხოვრები ფოთელების სახელით, შენი ძმა

სპარტაკ გოგინავა.

დონალდ ტრამპი: ირანელებმა დამირეკეს. მათ სურთ შეთანხმება, ჩვენც მზად ვართ!

დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ ირანელებს მოლაპარაკება სურთ და თეირანის წარმომადგენლებთან სატელეფონო საუბარი დააანონსა. ტრამპმა ასევე თქვა, რომ ირანი, შესაძლოა, მშვიდობის სანაცვლოდ, ბირთვული იარაღის პროგრამის შეწყვეტას დათანხმდეს.

მისი თქმით, ამერიკა და ირანი ომის დასასრულებლად 15 პუნქტს განიხილავენ, სადაც ირანის მიერ ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით დათმობაზე წასვლა „პირველ, მეორე და მესამე პუნქტებად“ არის დასახელებული.

„ხვალ, მათი დროით დილით მათი ყველაზე დიდი ელექტროსადგურის აფეთქებას ვაპირებდით, რომლის აშენებაც 10 მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდა. ეს ძალიან კარგი ობიექტი იყო. ერთი დარტყმით გაქრებოდა, ჩამოინგრეოდა. რატომ უნდა უნდოდეთ ეს? ამიტომ დაგვირეკეს, მე არ დამირეკავს, მათ დამირეკეს. მათ სურთ შეთანხმება. ჩვენც მზად ვართ შეთანხმებისთვის. ეს უნდა იყოს კარგი შეთანხმება, აღარ იყოს ომები და აღარ იყოს ბირთვული იარაღი. მათ აღარ ექნებათ ბირთვული იარაღი. ისინი ამას ეთანხმებიან. ამ საკითხზე თუ არ იქნება შეთანხმება, საერთოდ არ იქნება გარიგება“, – განაცხადა **ტრამპმა.**

„სიზმარში დაკარგული ბიჭის ამბავი“

27 მარტს, „წიგნის კაფეში“ გაიმართება საბავშვო მწერლისა და მთარგმნელის, ვასო გულეურის წიგნის წარდგენა – „სიზმარში დაკარგული ბიჭის ამბავი“.

„სიზმარში რას არ ნახავს ადამიანი. ალბათ, შენც უამრავი ფერადი სიზმარი გინახავს, მაგრამ ისეთი, ხუჭუჭა და დიდთვალება ვატოს რომ დაესიზმრა, მგონი იშვიათია. შეიძლება ვცდები, და შენ კიდევ უფრო უცნაური რამ გესიზმრება ხოლმე. ისე, რა მაგარი რამ არის სიზმარი. დახუჭავ თვალებს და წავიდააა: ხან ცაში დაფრინავ და ღრუბლებში დასრიალებ, ხან მწვანე გალახით დაფარულ ზღაპრულ მინდორში დაეხეტები და ხედავ, როგორ დაფარფატებს კუ ყვავილიდან ყვავილზე, იქით შეყვარებული ცხენი სიყვარულზე გესაუბრება.

მარტო ცხენი? არა, ყველა არსება ლაპარაკობს – ქუდიანი სოკო და ფესვმაგარი ხე, წვიმის წვეთები, ცის ცრემლებად რომ გაცნობენ თავს, ლამაზკუდიანი ფარშავანგი, შვიდფერა ცისარტყელა... კარგია სიზმარი, მაგრამ თენდება და თვალს ახელ, ახალი დღე იწყება. ის ზღაპრული და ნაირფერი სიზმარი კი არ გავიწყდება, ღამის მოლოდინში ხარ, ჯადოსნური სიზმრის გაგრძელების მოლოდინში“.

მიხეილ დუნდუა: ცხოვრების დონის ხანგრძლივი პროგრესით საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზე გავიდა!

ცხოვრების დონის ხანგრძლივი პროგრესით საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზე გავიდა, საუკეთესო ხუთეულში, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა, – განუცხადა „ქრონიკას“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე **მიხეილ დუნდუამ.**

მისი თქმით, საქართველო აგრძელებს პროგრესს, აგრძელებს განვითარებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

„ცხოვრების დონის ხანგრძლივი პროგრესით საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზე გავიდა, საუკეთესო ხუთეულში, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა. მნიშვნელოვანია, რომ ისეთ კატეგორიებში, როგორიც არის კორუფციის აღქმა და ცხოვრებისეული არჩევანის თავისუფლება, საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულებში მოხვდა, ნატოსა და ევროკავშირის წევრ 19-20 სახელმწიფოზე წინ არის ამ პარამეტრით. საქართველო აგრძელებს პროგრესს, აგრძელებს განვითარებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას“...

თემო გოცაძის 85 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა

25 მარტს, დიმიტრი შევარდნაძის სახელოგნების ეროვნულ გალერეაში გაიხსნება საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის laureate თემო გოცაძის 85 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ცნობილი მონუმენტალისტისთვის დამახასიათებელი მასშტაბური კომპოზიციების ნაცვლად, ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ცხოვრების ბოლო წლებში შექმნილი გრაფიკული ნამუშევრები საოჯახო კოლექციიდან. ისინი წარმოაჩენს გოცაძის შემოქმედებითი ხედვის კამერულ მხარეს, რომელიც იდეის ფორმირების, პლასტიკური აზროვნებისა და კომპოზიციური ძიებების პროცესს მხატვრისეული ორიგინალური ხელწერით გადმოსცემს.

ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად თემო გოცაძე ათწლეულების განმავლობაში აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა და ხელმძღვანელობდა კულტურის მთავარ ინსტიტუციებს საქართველოში: 1983-1995 წლებში იყო მხატვრის სახლის დირექტორი; 1988-2005 წლებში კი გახლდათ საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანება „სურათების ეროვნული გალერეის“ გენერალური დირექტორი.

1980-იან წლებში თემო გოცაძის უშუალო ინიცირებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების შემოქმედებითი სახელოსნოები, სადაც უკვე აღიარებული ხელოვანი დიდხანს მუშაობდა. მისივე თაოსნობით შეგროვდა თანამედროვე ქართველ მხატვართა 25 000-ზე მეტი ნამუშევრის უდიდესი კოლექცია.



27 მარტს, მსახიობის სახლში, „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“ თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას გამართავს.

27 მარტს თეატრის საერთაშორისო დღეა!

თეატრალური საზოგადოების ინფორმაციით, საღამოს ორგანიზატორები არიან, აგრეთვე კულტურის სამინისტრო და „შემოქმედებითი საქართველო“. მსოფლიო თეატრის დღეზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმართება გამოფენები, სპექტაკლები თუ შეხვედრები, რათა კიდევ ერთხელ საგანგებოდ ისაუბრონ თეატრის გავლენასა და როლზე ადამიანების ცხოვრებაში.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აგელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო
ნომერი
გამოვა
პარასკევს,
27 მარტს**